www.24saati.ge

24 საათი

The New York Times
International Weekly
ყოველ სამშაბათს

© გაზეთი 24 საათი | პარასკევი, 27 ივლისი, 2012 წელი. | №3075 (168) | ფასი 50 თეთრი

80 მილიონიანი ჯარიმის გადახდის პირველი შედეგი

ბიძინა ივანიშვილის მიერ გადახდილი ჯარიმის პირველი შედეგები უკვე სახეზეა - აღსრულების ეროვნულმა ბიურომ ბიძინა ივანიშვილის აქციების 100-100 პროცენტს "ქართუ ბანკსა" და "ქართუ ჯგუფში" და ასევე 21 პროცენტს "პროგრესბანკში" ყადაღა მოხსნა. "ქართუ ბანკს" დაუბრუნდა ძველი მმართველი ნოდარ ჯავახიშვილიც.

კონტროლის პალატის მოთხოვნით, უკანონო პოლიტიკურ საქმიანობაში მხილებული ბიძინა ივანიშვილი თბილისის საქალაქო სასამართლომ თავდაპირველად 148 650 131 ლარით დააჯარიმა. თუმცა, მოგვიანებით, ეს თანხა მეორე ინსტანციის სასამართლომ გაანახევრა და კოალიცია "ქართული ოცნების" ლიდერს საბოლოოდ 74 325 065.65 ლარის გადახდა დააკისრა. მიუხედავად სასამართლო გადაწყვეტილებისა, ბიძინა ივანიშვილმა ჯარიმის ნებაყოფლობით გადახდაზე უარი განაცხადა, რის გამოც სახელმწიფომ მისი ქონება, კერძოდ, "ქართუ ჯგუფის" და "ბანკი ქართუ" 100-100 პორცენტი და "პროგრესი" ბანკის 21 პროცენტი ჯერ დააყადაღა, შემდეგ ნულოვან აუქციუნზე გაიტანა, სადაც მყიდველი არ გამოჩნდა. ამის შემდეგ აღსრულების ბიუროს გადაწყვეტილებით, ბანკები იძულებით მმართველობაზე გადაიყვანეს. შეიცვალა მმართველიც - ნოდარ ჯავახიშვილის ნაცვლად "ქართუს" და "პროგრესს" ბანკის ნაწილის რამდენიმედღიანი მმართველობა კახა უგულავას მოუნია.

"ქართუსთან" დაკავშირებულ მოვლენებს კახეთში მომხდარი სტიქიის შემდეგ დაესვა წერტილი.. როგორც თავად "ქართული ოცნების" ლიდერმა განმარტა, იგი ჯარიმის გადახდას სწორედ იმის გამო დათანხმდა, რომ მის მიერ ჩარიცხული მილიონები, დაზარალებულების სრულფასოვან დახმარებას მოხმარდეს.

გაგრძელება
მე-2 გვერდზე

მმართველი გუნდი მაჟორიტარებს არჩევს

მაგდა ლეკიაშვილი

"ნაციონალურ მოძრაობას" თბილისში მაჟორიტარობის კანდიდატები ოფიციალურად არ დაუსახელებია, თუმცა მათი შერჩევა უკვე დაიწყო. მმართველი გუნდი "კარდაკარს" აწარმოებს. პარტიის გენერალური მდივანი მიხეილ მაჭავარიანი ამბობს, რომ "კარდაკარის" ჩატარებას უზრუნველყოფენ პარტიის რეგისტრირებული მხარდამჭერები, რომლებიც მოსახლეობას "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" პროგრამას - "მეტი სარგებელი ხალხს!" გააცნობენ და ასევე, გაერთიანების მხარდამჭერებს აღრიცხავენ.

არსებობს სავარაუდო კანდიდატთა ჩამონათვალიც: საბურთალო - ანდრია ურუშაძე, ნაძალადევი - მერაბ სამადაშვილი, ისანი - გიორგი ვაშაძე, გლდანი - ნიკოლოზ ხაჩირიშვილი, ვაკე - გიორგი კარბელაშვილი, დიდუბე - გიგი წერეთელი ან რამაზ სულამანიძე, ჩუღურეთი - ანდრო ალავიძე, სამგორი - მიხეილ მაჭავარიანი, მთაწმინდა - არჩილ გეგენავა და კრწანისი - დავით საყვარელიძე.

თბილისის რაიონების მაჟორიტარობის აღნიშნული კანდიდატები დასახელებულნი არიან იმ კითხვარში, რომლითაც "ნაციონალური მოძრაობის" კოორდინატორები მოსახლეობის გამოკითხვას აწარმოებენ. კითხვაზე - დაუჭერთ თუ არა მხარს "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" მიერ წარდგენილ მაჟორიტარ კანდიდატს, მითითებულია კონკრეტული რაიონის მაჟორიტარობის კანდიდატის სახელი და გვარი.

"24 საათმა" ამ კითხვარების შინაარსი მოქალაქეებისგან შეიტყო. ამ სიაში სწორედ ის შესაძლო მაჟორიტარები არიან, რომლებსაც არჩევნებში "ნაციონალური მოძრაობა" დაასახელებს.

გაგრძელება
მე-2 გვერდზე

ბრძოლა ალეპოსთვის

ივა შილაკაძე

ბოლო ოთხი დღეა, სირიაში გაჟღერებული ბრძოლა მიმდინარეობს ალეპოსთვის, რომელიც ქვეყნის ეკონომიკურ დედაქალაქად მიჩნევა. სიდიდითაც ის სირიაში მეორე ქალაქია. ამბოხებულები ძირითადად პარტიზანულ ტაქტიკას მიმართავენ, რადგან მათ სერიოზული შეიარაღების უქონლობის გამო სხვანაირი ბრძოლის საშუალება არაქვთ.

ასადის რეჟიმისთვისაც ამ ქალაქის დაკარგვა ძალიან სერიოზული მარცხი იქნება, რადგან მის შემდეგ ამბოხებულები უკვე მთელი ძალებით მიადგებიან დედაქალაქ დამასკოს, რომლიდანაც რამდენიმედღიანი ბრძოლის შემდეგ ხელისუფლებამ ძლივს მოიგერია ისინი.

გაგრძელება
მე-3 გვერდზე

"დილას" ევროპული გზა გრძელდება

გვ.-8

გიგა ბაბალიძის ფოტო

მათე ვაწაძემ დანიელებს 2 გოლი გაუტანა

1 აშშ დოლარი	1.6625⇓
1 ევრო	2.0103⇓
1 ინგლისური გირვანქა	2.5780⇓
1 თურქული ლირა	0.9091⇓
100 რუსული რუბლი	5.0946⇓

თბილისი	33°C - 21°C
ქუთაისი	40°C - 25°C
თელავი	34°C - 18°C
ზუგდიდი	39°C - 22°C
ბათუმი	33°C - 23°C

ნავთობი	2.80	-0.02	-0.82%
გაზი	3.08	-0.11	-3.44%
ოქრო	1,603.00	+26.80	+1.67%
ხორბალი	904.75	+26.00	+2.87%

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge
ჩვენი პარტნიორები:
თიბისი ბანკი TBC BANK
ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს
FM 102.4 საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი
ბანკი კონსტანტა BANK CONSTANTA

ISSN 1987 9121

ძველი და თანამედროვე ქუთაისი

ბელა ჩეკურიშვილი

ბაგრატის ტაძარი, თეთრი ხიდი, ოქროს ჩარდახი, გიმნაზია, სინაგოგა, ჯაჭვის ხიდი, პატარა ყაფანი - რომელიც მე-19 საუკუნის დასასრულისა და მე-20-ის დასაწყისში დიმიტრი ერმაკოვს, გიორგი ნიკოლაძეს, ნიკოლოზ საღარაძეს და სხვა ფოტოგრაფებს აღუბეჭდავთ, დღეს ჩვენს თვალწინ ძველ ქუთაისს აცოცხლებენ.

ქუთაისის იუსტიციის სახლში გუშინ გაიხსნა გამოფენა "ძველი და თანამედროვე ქუთაისი", რომელიც ქალაქის ისტორიულ და დღევანდელ ხედებს აერთიანებს. მისი ნახვის შესაძლებლობა ქუთაისელებს ორ კვირის მანძილზე ექნებათ.

გამოფენა ნაწილია იუსტიციის სამინისტროს ეროვნული არქივის პროექტისა "საქართველოს ქალაქები", რომელიც სამი წლის წინ დაიწყო და საუკუნისწინანდელი ხედების თანამედროვეობასთან შედარებასა და ფოტოისტორიის შემონახვას ემსახურება.

"ამ ანალოგებით საზოგადოებას საშუალება ექნება, თვალი მიადევნონ ქალაქების განვითარების ისტორიას. ქალაქი ცოცხალი ორგანიზმია, მუდამ იცვლება და ამ ცვლილების დაფიქსირება მნიშვნელოვანია მისი ისტორიისთვის. ამავე დროს, ამ პროექტით ჩვენი ფონდები თანამედროვე ქალაქების ფოტოებით ივსება და იმის გარდა, რომ საცავებში შეინახება, ეს ფოტოები ათეული წლის შემდეგ უკვე ისტორია იქნება.

გაგრძელება
მე-4 გვერდზე

ფასდაკლების კუპონი

აქცია ექსკლუზივი

24 საათი | Weekend | ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა | საქართველოს ფოსტა GEORGIAN POST

4 ივნისიდან 4 ივლისის ჩათვლით!
ექსკლუზიურად „24 საათის“ და „Weekend“-ის მკითხველისთვის!

- ამოჭერი კუპონი და მიიღე ექსკლუზიური ფასდაკლება „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის“ წიგნებზე „საქართველოს ფოსტის“ პრესის ჯიხურებში მთელი საქართველოს მასშტაბით, თქვენთვის მოსახერხებელ ადგილას.
- აირჩიე 5 წიგნიდან შენთვის სასურველი 1 წიგნი და შეიძინე საუკეთესო ფასად!

ყვავი ცალიწინდა ოინგაზოზს	~~5.90~~	4.90
ჰარი პოტერი და საიდუმლო ოთახი	~~9.00~~	4.00
ფალიაშვილის ქუჩის ძაღლები	~~6.90~~	3.00
ქართველები ამერიკაში	~~17.90~~	11.90
კავკასიის გეოპოლიტიკური ატლასი	~~15.90~~	11.00

ᲞᲠᲔᲡᲢᲘᲜᲘᲡᲢᲘᲡ ᲞᲝᲡᲢᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

მოგზაურობა ევროპაში

ნოდარ ლადარია

ტელეგადაცემა მთლიანად არ მინახავს. მხოლოდ ერთი მცირე ფრაგმენტი მიმასწავლეს, სულ რამდენიმე წამის ხანგრძლიობისა, რომელიც მაშინვე მოვძებნე ქსელში...

ამ ფრაგმენტში ჩანს სულხან საბა ორბელიანის უკანასკნელი შთამომავალი: უკრაინაში მცხოვრები ხანდაზმული ქალი, რომელსაც თავისი საგვარეულო არქივი თუ მისი ნაწილი გადაუცია ჩვენი ეროვნული ბიბლიოთეკისთვის. ამჯერად ეს არ გვაინტერესებს. საინტერესოა, თუ როგორ არსებობს ამ ქალის შეგნებაში საქართველო - ისტორიული სამშობლო, როგორც მავანნი იტყვიან.

საქართველოსთან დამაკავშირებელი აგენტი რომ მუსიკა აღმოჩნდა, გასაკვირი არ არის. ცოტა საწყენია, რომ ეს მუსიკა კნეინა ვარინკა წერეთლის შეთხზული და უკვე ეთნიკურ "პაპსად" ქცეული მელოდია იყო. და მართლაც სიმბოლურია, რომ "სულიკოს" ჰანგს არავითარი სიტყვები არ ახლდა - სულხან საბა ორბელიანის შთამომავალი სავსებით სწორად, მაგრამ სრულიად უსიტყვოდ ინტონირებდა კამერის წინ: "ტრა-ტა-ტა-ტა-ტა, ტრა-ტა-ტა...".

რა თქმა უნდა, ტრაგედიას იმაში არ ვხედავთ, რომ "დიდი გვარის" ისტორია ასე უბადრუკად დამთავრდა - დიდ ადამიანს არც გვარის გამგრძელებელი სჭირდება და, სხვათა შორის, არც საფლავი. და მაინც, ადამიანი საზრისთა შემქმნელი არსებაა, ამიტომაც გვსურს საზრისი მოვუძებნოთ ამ მცირე ფრაგმენტსაც, რომლის შესახებ სულ ახლახან ვთქვით, რომ სიმბოლურია. მაინც რისი სიმბოლოა ეს უცნაური "ტრა-ტა-ტა"?

ჯერ დიდი წინაპრის ერთ წერილს გავეცნოთ. ამ წერილის ადრესატი, სავარაუდოდ, სარწმუნოების გავრცელების კონგრეგაციის პრეფექტია. სულხან საბა ორბელიანი წერს:

დიდსა და ღირსსა უფალსა

დიდებულო, ვიცი, რომე თქუენ ვერ მიცნობთ: მე, თქუენის სამსახურის ღირსი, სულხან საბა ორბელიანი, წმიდის ბასილის მონაზონთაგანი, სიწმიდისა თქუენისა მოხსენებას ვკადრებ. თქუენს ღირსეულობას რომ პატრი კაფუჩინები ჩუენს ქუეყანას გამოეგზავნა, მათგან შევიტყვე, თქუენ მართლის სარწმუნოების გამრავლებას დიაღ ცდილობდეთ ჩუენს ქუეყანასა. ამისთვის დიდად მადლს გარდვიხდი და თქუენს სიწმიდეს თაყუანსა ვსცემ სრულ ქართველიანად.

რადგან მაღალსა და დიდად ქრისტიანს დიდებულს ფრანცისის მეფესა ჩუენის მეფისათვის წიგნი მიეწერა, მე მისის პასუხის მოსატანლად საფრანგეთს წამოველ. მერმე ამისი ნდომა მაქუს, რომ უფროსად წმიდის პაპის ფეხის კოცნა მეღირსოს და მაგათის ბძანებით უფრო მრავალი პატრები გაიგზავნოს, რომ ჩუენს ქუეყანას მართალი სარწმუნოება გამრავლდეს.

ამისი უკეთესი ღონე ეს არის, რომ ფრანცისის დიდი მეფე ჩუენის მეფის დახმარებას ეცადოს, რომ თავის უნდომლად აჯამშია და ის თავის ქუეყანას მივიდეს. მისი საქმე ვიცი: გუნებით და სიყუარულით ახლოა ამ წმიდას რჯულზედ და მალე ის გაამრავლებს.

ეს ვიცი, თუ უფროსად წმიდა მამა ჩუენი თავის შვილს, ფრანცისის მეფეს ტკბილად ასწავლის და ფრანცისის მეფე მოინდომებს, ჩუენს მეფეს ეშველება. თუ ამ წყალობას გვიზამთ, ჩუენთვის დიდი საქმე იქნება, რომ მე მოვალე ვარ ქართველთათვის.

ღირსი პატრი უფროსი იაჯინთო, წმიდის ტერეზიას პატრების მთავარი, მარჩილიას დამხვდა, თავის მონასტერში დამაყენა და დიდად ხელი შემიწყო. ჩუენგან რა სამსახური გაეწყობა: მადლს მოვახსენებ. შევიტყვე, რომ თქვენ ღირსის ძმა ყოფილა. რადგან ასე კარგად დამხვდა, ჩვენი წიგნი მას პატიოსანს მივეც, რომ თქვენს სანატრელს ხელს მიერთვას.

თქვენს ნეტარეულს თავს ვეხვეწები, რომ უფროსად წმიდის პაპის შენდობა გვიშოვნოთ და გვიბოძოთ.

1714 მარტს 11

სულხან საბა

ტრაგედია აქ არის თუ არის. და არა მარტო ის ტრაგედია, რომელიც არ გვესირცხვილება და ისეთივე ლამის პროფესიული სიამაყით ვაცხადებთ, საუკუნეების განმავლობაში ათასი დამპყრობელი გამოვიცვალეთო, როგორითაც მათხოვარი გამოფენს ხოლმე საქვეყნოდ თავის წყლულებს. აქ სხვა, უფრო ინტიმური და ღრმა ტრაგედიაც არის...

არა, "მართალ სარწმუნოებას" არ ვგულისხმობ: მცირე ხნით მაინც დავდგეთ კონფესიურ მიკერძოებებზე მაღლა და ვიგრძნოთ, რომ ეს არცთუ ისე ძნელია. ტრაგედიას ქმნის ორი ვითარების შეუსაბამობა: ერთში ქართველი მთხოვნელი არსებობს და ცხოვრობს, მეორეში - ევროპელი ფუნქციონერი. მოგვიანებით კიდევ უფრო მძიმედ გამოიხატა ეს გარემოება და უკვე ევროპაში გაჭრილი ფანჯრიდან მონაბერ სიოს ნაზიარებმა რუსებმა 1783 წელს გეორგიევსკში ხელმოსაწერი ტრაქტატიდან სასწრაფოდ ამოიღეს მუხლი, რომელშიც სპარსებთან ურთიერთობას ნაჩვევი ერეკლე მეორე სანქტ-პეტერბურგის კარზე თავისი შვილების მძევლად გაგზავნას აღუთქვამდა.

სულხან საბას არაადეკვატურობა უფრო მსუბუქი თვისებისაა, ის თითქოს მიამიტობაში გამოიხატება: ოდესღაც ასეთივე გულუბრყვილო სწორხაზოვნებით ლაპარაკობდნენ ტელესტუდიებსა თუ უზენაესი საბჭოს ტრიბუნაზე "ეროვნულ მოძრაობაში" გამობრძმედილი შინნაზარდი პოლიტიკოსები, რითაც დასავლელი დიპლომატების ტაქტიან ღიმილს იწვევდნენ. ეს ტაქტიანი ღიმილი არ არის მხოლოდ "დიპლომატიურობის" ზედაპირული გამოხატულება: ეს ცივილიზაციის არსებითი თვისებაა. ცივილიზაცია არბილებს, ზოგჯერ კი სულაც ანეიტრალებს მდაბალთა მიამიტობას.

იტალიურად თარგმნილი ტექსტი, რომელსაც წაიკითხავდა კარდინალი საკრიპანტე, უკვე სხვა ტექსტია: ის სრულად და ერთგულად ასახავს ორიგინალის შინაარსს და აკეთილშობილებს მის ფორმას. ეკვივალენტური რიტორიკული ფიგურები არ ტოვებენ საშუალებას სერვილიზმის და თვითგვემის, ან თუნდაც პოლიტიკური მოუმზადებლობის გამოსავლენად. ეს თავისთავად და უმტკივნეულოდ ხდება: ცივილიზაციის შეხება მარგებელია. სწორედ ეს შეხება გვაძლევს უნარს ერთმანეთისაგან გავარჩიოთ, მაგალითად, ორი მიხეილ სააკაშვილი: ერთი პრინსტონის უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში მდგომი, მეორე კი ჩუმლაყის ან ქოდალოს მოსახლეობით გარშემორტყმული. პირველი რეაქცია გაღიზიანებაა, მეორე კი უფრო რაციონალური და გონიერი დასკვნა: ბევრად უარესი იქნებოდა, ორის მაგიერ ერთი რომ აღმოჩენილიყო ამ ორ ადგილას.

ცივილიზაციას არ სჭირდება ვერაგობა და ორპირობა, ამიტომაც იმ დოკუმენტაციაში, რომელიც თან ახლდა სულხან საბას მოგზაურობას და რომელსაც თვით მხცოვანი ელჩი ვერ გაეცნობოდა, არსად არ ჩანს ქედმაღლობა ან ორმაგი სტანდარტი. არსად არ ჩანს ის ლამის თანდაყოლილი ავყიობა, რომელსაც ადამიანისადმი სიყვარულით გამთბარი "ხაჯი-მურატის" ავტორიც კი ვერ გადაურჩა: "გრუზინსკი კნიაზ, უჟასნო გლუპი"... ყველგან მეორდება ერთი და იგივე სიტყვები: "მიიღეთ", "მოუსმინეთ", "დაეხმარეთ", "კარგი მისიონერია". და ეს სიტყვები სხვას არაფერს ნიშნავს, თუ არა: "მიიღეთ", "მოუსმინეთ", "დაეხმარეთ", "კარგი მისიონერია". არ ნიშნავს ნაკლებს, მაგრამ არც მეტს...

და თუმც ისტორია არ სცნობს კავშირებით კილოს, მაინც ცხადია, რომ სულხან საბა ორბელიანის გვარი ვერც ევროპაში გადაურჩებოდა ტრაგედიას. შესაძლოა, ეს ტრაგედია უფრო მწვავეც იქნებოდა, მაგრამ ვერ გახდებოდა სიმბოლური...

ამ სიმბოლურობის საფუძველი ვერსალსა და რომში კი არა, სოფელ ვსეხსვიატსკოეში უნდა ვეძებოთ. ეს საფუძველი კომიზმია: კომიზმი, რომელმაც ისედაც მრავალი სიმბოლო შექმნა: "ჩახამბილი", "ბარჟომი", "გინაცვალე", "ტბილისო"... და რომელმაც ვარინკა წერეთლის ჰანგს ახალი სიტყვები მიუსადაგა: "ტრა-ტა-ტა-ტა-ტა..."

80 მილიონიანი ჯარიმის გადახდის პირველი შედეგი

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

ამისათვის "ქართულმა ოცნებამ" თანხის კანონიერად განკარგვის მაკონტროლებელი ჯგუფებიც შექმნა. სად დაიხარჯება ბიუჯეტში ჯარიმის სახით შესული თანხა, როგორც მმართველ პარტიაში აცხადებენ, ხელისუფლება ამას თავად გადაწყვეტს, ერთი კი ფაქტია, "Deutsche Bank Trust Company Americas"-დან 80 მილიონი ლარის საქართველოს სასამართლოს მიერ მითითებულ ანგარიშზე ჩარიცხვისთანავე, კანონის შესაბამისად, აღსრულების ეროვნულმა ბიურომ თბილისის საქალაქო სასამართლოს მიმართა და ერთი მხრივ ივანიშვილის დაყადაღებულ ქონებაზე იძულებითი მმართველობის გაუქმება და, მეორე მხრივ, სახელმწიფოს მიერ დანიშნული იძულებითი მმართველის კახა უგულავასთვის დროებითი მართვის უფლების შეწყვეტა მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოში გამართულ სხდომას მოსამართლე თამარ ჩიხლაძე უძღვებოდა. "ქართუ ჯგუფის" ინტერესებს ადვოკატი შალვა თადუმაძე იცავდა, აღსრულების ბიუროს კი ირაკლი ხვედელიძე წარმოადგენდა. რამდენიმესაათიანი საქმის განხილვის შემდეგ მოსამართლემ "ქართუ ბანკი", "ქართუ ჯგუფი" და "პროგრესბანკი" ივანიშვილს დაუბრუნა, რომელიც ქონების დაყადაღების დღიდან აცხადებდა, რომ დასახელებულ ბიზნესებთან კავშირი აღარ ჰქონდა.

საკუთარი ინფორმაცია

მმართველი გუნდი მაჟორიტარებს არჩევს

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

როგორც "ნაციონალური მოძრაობის" გენერალური მდივანი მიხეილ მაჭავარიანი ამბობს, **"ამ გზით გარკვეულწილად იტესტება, რამდენად მისაღებია ამა თუ იმ ქალაქში, რაიონსა და რეგიონში "ნაციონალური მოძრაობის" ესა თუ ის კანდიდატი."**

"ნაციონალური" "კარდაკარის" კითხვარში, რომელიც "24 საათს" ნაძალადევის რაიონის ერთ-ერთმა კოორდინატორმა გააცნო, სულ ხუთი კითხვაა:

1) **გსმენიათ თუ არა ახალი პრემიერ-მინისტრის ვანო მერაბიშვილის ახალი ინიციატივის - 1000-ლარიანი ვაუჩერის შესახებ?**

- კი, არა

2) **ჩამოთვლილთაგან რისთვის გამოიყენებთ ამ ვაუჩერს?**

- კომუნალური ტარიფების დასაფარად; მედიკამენტების შესაძენად; სკოლის სახელმძღვანელოების შესაძენად; სოფელში საწვავის და ტექნიკის დაქირავების ხარჯების

დასაფარად; არ იცი; ჯერ არ გადამიწყვეტია, უარი პასუხზე;

3) **როგორც თქვენ იცით, ოქტომბერში ტარდება ქვეყანაში**

საპარლამენტო არჩევნები - აპირებთ თუ არა წასვლას?

- მივდივარ; არ მივდივარ; არ ვიცი; ჯერ არ გადამიწყვეტია;

უარი პასუხზე.

4) **რომელ პარტიას დაუჭერთ მხარს საპარლამენტო**

არჩევნებში?

- "ნაციონალური მოძრაობა"; "ქართული ოცნება"; "ქრისტიანდემოკრატიული მოძრაობა"; სხვა დანარჩენი; არ ვიცი; ჯერ არ გადამიწყვეტია; უარი პასუხზე; ყველას წინააღმდეგ.

5) **დაუჭერთ თუ არა მხარს "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" მიერ წარდგენილ კანდიდატს?** (ამ კითხვაზე მითითებულია კონკრეტული რაიონის

მაჟორიტარობის კანდიდატის სახელი და გვარი)

- კი; არა; არ ვიცი; ჯერ არ გადამიწყვეტია; არ მსმენია;

არ ვიცნობ ამ კანდიდატს; უარი პასუხზე.

პარლამენტის პირველი ვიცე-სპიკერის, "ნაციონალური მოძრაობის" გენერალურ მდივან მიხეილ მაჭავარიანის ინფორმაციით, "კარდაკარი" უახლოეს მომავალში დასრულდება.

კახი კალაძეს ანგარიშები დაუყადაღეს

მაგდა ლეკიაშვილი

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლემ გიორგი გოგინაშვილმა, მთავარი პროკურატურის პროკურორ ელიზბარ გოზალაშვილის შუამდგომლობის საფუძველზე, დააყადაღა კახა კალაძის საბანკო ანგარიშები, რომლებიც მას საქართველოში აქვს. კოალიცია «ქართული ოცნების» პრესსპიკერ მაია ფანჯიკიძის თქმით, ამის მიზეზად სასამართლომ კახა კალაძის მიერ უკანონო შემოსავლების რეალიზაციის შესახებ დასაბუთებული ვარაუდი დაასახელა.

«ქართული ოცნების» ადვოკატ შალვა თადუმაძის განმარტებით, განჩინების მიზნად მოსამართლე გიორგი გოგინაშვილი კალაძისთვის დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების ჩამორთმევის შესაძლებლობაზეც მიუთითებს. ფანჯიკიძის თქმით, აშკარაა, რომ ხელისუფლება კახა კალაძის მიმართ პოლიტიკურ დევნას ახორციელებს, რადგან საზოგადოებისთვის ცნობილია კალაძის წარმატება მსოფლიო ასპარეზზე. შესაბამისად, მისი შემოსავლის წარმომავლობა ყველასთვის გამჭვირვალე და ნათელია.

კოალიციის ადვოკატები აღნიშნული გადაწყვეტილების გასაჩივრებას დღეს, 17:00 საათამდე აპირებენ. იმ დროს, როცა მაია ფანჯიკიძე კოალიციის ცენტრალურ ოფისში კახა კალაძის შესახებ განცხადებას აკეთებდა, კახა კალაძე რუსთავში ამომრჩევლებთან შეხვედრას ესწრებოდა. მან რუსთაველებს სიტყვით მიმართა, თუმცა ანგარიშების დაყადაღების შესახებ კომენტარი არ გაუკეთებია.

"ქართული ოცნების" ადვოკატი შალვა თადუმაძე ამბობს, რომ თუკი საგამოძიებო უწყებაში კონკრეტულ დანაშაულზე დასაბუთებული ვარაუდი არსებობს, სავარაუდო დამნაშავის მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნა უნდა მიმდინარეობდეს. ამ შემთხვევაში კი სასამართლოს მიერ გამოტანილ განჩინებაში კალაძის მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნა დაწყებული არ არის. ადვოკატის თქმით, იქვე მითითებულია, რომ დაყადაღება უკანონოდ მოპოვებული ქონების შესაძლო ჩამორთმევის უზრუნველყოფისთვის განხორციელდა.

ეს ცალსახად მიუთითებს, რომ სასამართლოს უკვე აქვს მომავალში განსახორციელებელი გეგმა, ჩამოართვას კახა კალაძეს დაყადაღებული ქონება. კახა კალაძე ამ საქმეში ბრალდებულის სტატუსით არ არის. შესაბამისად, თუ პირი არ არის ბრალდებული, მას არ დააკავებენ, - აცხადებს «ქართული ოცნების» ადვოკატი შალვა თადუმაძე. მისივე თქმით, «უკანონოა ის შემოსავალი, რომლის დადასტურებაც პირს არ შეუძლია. ცოტა კურიოზულია, კახა კალაძეს ჰკითხო, საიდან აქვს ანგარიშზე ამდენი თანხა».

«ოცნებაში» იმასაც ამბობენ, რომ საქმე საგამოძიებო ორგანოში მიმდინარეობს, თუმცა რომელ საგამოძიებო ორგანოში, საუბარი არ არის. ამასთან ადვოკატებისთვის უცნობია, ზოგადად რაზე მიმდინარეობს ძიება. ადვოკატების შეფასებით, განჩინება ბუნდოვანია. ანგარიშების დაყადაღებას კი, თადუმაძის თქმით, არანაირი კავშირი არა აქვს იტალიაში მომხდარ საფეხბურთო სკანდალთან.

კალაძისთვის ანგარიშების დაყადაღების საკითხს არ ადასტურებენ თბილისის საქალაქო სასამართლოს პრესცენტრში.

სააქციო საზოგადოებების საყურადღებოდ!

ლიცენზირებული რეგისტრატორი

სს „კავკასრეესტრი"

გთავაზობთ ფასიანი ქაღალდების რეესტრის წარმოების მაღალკვალიფიციურ მომსახურებას.

მომსახურების საფასური 17 ლარიდან.

თბილისი, მოსაშვილის ქ. №11 (ვაკის პარკთან) მე-2 სართ.
ტელ : 222-07-18; 222-07-49; ფაქსი: 225-18-76
ვებ-საიტი: www.kavkasreestri.ge ელ.ფოსტა: kavkasreestri@gse.ge

გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "მვპ". რედაქტორ-გამომცემლები:
მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
რედაქცია: სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), ინგა ალავიძე (სამართალი), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ივა შილაკაძე (უცხოეთი)
სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** *ირაკლი ლეჟავა* ტელ: 899 22 09 49. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), ირმა ჯიშკარიანი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი
რედაქციის მისამართი: ქ თბილისი, კოსტავას ქ. № 68, საზოგადოებრივი მაუწყებელი, მე-3 კორპუსი, მე-3 სართული. ტელ: 40-94-45; 40-94-46; 40-94-47; 40-94-48 ელ-ფოსტა: public@24hours.ge

ბრძოლა ალეპოსთვის

პირველი გვერდიდან

გუშინ "სირიის თავისუფალი არმიის" წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ალეპოს ნახევარს უკვე აკონტროლებენ. ხელისუფლებას ამაზე კომენტარი არ გაუკეთებია, თუმცა ამ ქალაქისკენ საჯარისო შენაერთების გადასროლა ქვეყნის სხვა რაიონებიდან უკვე ორი დღეა მიმდინარეობს. ოპოზიციის ზოგიერთი წარმომადგენელი ეჭვობს, რომ ამბოხებულები ალეპოში პოზიციების შენარჩუნებას მოახერხებენ, რადგან შეიარაღებაში განსხვავება ძალიან დიდია. ოპოზიციური მოძრაობის "სირიის სახელმწიფოს მშენებლობა" დამაარსებელმა თალალ ალ-მაიჰანიმ განაცხადა, რომ ამბოხებულთა მებრძოლებს სტრატეგიული მხარდაჭერა და იარაღი არ ყოფნით. მათკენ კი მიემართებიან კარგად შეიარაღებული შენაერთები. ალ-მაიჰანი შიშობს, რომ შეიძლება განმეორდეს დამასკოს სიტუაცია და ამბოხებულებს უკან დახევა მოუწიოთ.

ხელისუფლების მომხრე არმია ალეპოს არტილერიითა და საბრძოლო ვერტმფრენებით ბომბავს. გუშინწინ, პირველად დაპირისპირების მთელი პერიოდის განმავლობაში ხელისუფლებამ საბრძოლო თვითმფრინავებიც გამოიყენა. მსხვერპლი ძალიან დიდია. ბოლო კვირის განმავლობაში დღეში სხვადასხვა ქალაქში იღუპება, სულ ცოტა, 100-დან 200 კაცამდე. მოსახლეობა ქალაქებიდან გარბის და თავს დროებით საცხოვრებლებს აფარებს. 100 ათასზე მეტი ადამიანი გავიდა სირიიდან და ბოლო დღეებში ეს რიცხვი სწრაფად იზრდება. ამას ხელს უწყობს ის ფაქტიც, რომ ამბოხებულები ქვეყნის ტერიტორიის ორ მესამედთან ერთად პერიოდულად აკონტროლებენ რამდენიმე სასაზღვრო გამშვებ პუნქტსაც თურქეთის და ერაყის საზღვრებზე. ამბოხებულების ბოლოდროინდელმა წარმატებებმა აშშ-ს სახელმწიფო მდივან ჰილარი კლინტონს საშუალება მისცა, რომ სირიაში უსაფრთხოების ზონების შექმნაზე საუბარი დაეწყო.

სირიის მმართველი რეჟიმისგან უკვე ხელისუფლებასთან დაახლოებული ადამიანებიც გარბიან. ჩვენ უკვე ვწერდით, რომ გაქცეულთა შორის არიან გენერლებიც და დიპლომატებიც. გუშინ ასადს განუდგა ელჩი გაერთიანებულ არაბულ საამიროებში აბდელ ლატიფ დაბაგი და მისი მეუღლე, ელჩი კვიპროსში ლამინ ჰარირი. ისინი კატარში გაიქცნენ. ოპოზიციის მხარეს გადავიდა, აგრეთვე, სამხედრო ატაშე ომანში სირიის საელჩოდან მოჰამედ ტახსინ ფაკირი.

გუშინწინ ტელერახმა "ალ-არაბიამ" გადასცა სირიიდან ივლისის დასაწყისში გაქცეული ძალიან გავლენიანი გენერლის მანაფ ტლასის ვიდეომიმართვა. აქამდე მას საჯარო ანცხადებები არ გაუკეთებია. მანაფ ტლასმა თანამემამულეებს მოუწოდა გაერთიანებისკენ "თავისუფალი და დემოკრატიული სირიის ასაშენებლად." ის გაქცევამდე ელიტარული რესპუბლიკური გვარდიის ბრიგადას მეთაურობდა. თავის დროზე მსახურობდა თვით ბაშარ ასადთან ერთად. მისი მამა, მუსტაფა ტლასი, იყო ბაშარ ასადის მამის, ჰაფეზ ასადის უახლოესი თანამებრძოლი და 30 წელი ეკავა სირიის თავდაცვის მინისტრის პოსტი. ოღონდ ასადის გარემოცვის უმრავლესობისგან განსხვავებით, მანაფ ტლასი, ცხადია - მისი მამაც, არიან სუნიტები და არა ალავიტები. ოპოზიციის მხარეს არის გადასული გენერალი ადნან სილუც, რომელიც ადრე ქიმიური იარაღის პროგრამის ხელმძღვანელი იყო (ქიმიური იარაღი ცალკე თემაა, ამაზე წინა ნომრებში უკვე წერდა "24 საათი" და ჩვენ მას კიდევ დავუბრუნდებით).

გაეროში კი კვლავ ვერ ხერხდება ერთიანი პოზიციის შემუშავება სირიის მიმართ, და კვლავ რუსეთის და ჩინეთის "სიჯიუტის" გამო. ისე, ბოლო დღეებში მაღალჩინოსანი რუსი დიპლომატების (მათ შორის, ლავროვის და მისი მოადგილე გატილოვის) განცხადებები ძალიან გაღიზიანებული და აგრესიული გახდა, რაც სიმპტომატურია. ეტყობა მათ იგრძნეს საკუთარი პოზიციის არაპერსპექტიულობა სირიაში განვითარებული მოვლენებიდან გამომდინარე, და დასავლეთის ღია და დაუსაბუთებელ კრიტიკაზე გადავიდნენ.

ჰამენეი ირანელ პოლიტიკოსებს ერთიანობისაკენ მოუწოდებს

თამთა კახაძე

ირანის სულიერმა ლიდერმა აიათოლა ალი ჰამენეიმ ირანელ პოლიტიკოსებს ერთიანობისაკენ მოუწოდა, დასავლეთი კი გააფრთხილა, რომ ირანის ბირთვულ პროგრამასთან დაკავშირებით დაწესებული სანქციები პროგრამის უფრო მეტად განვითარებას შეუწყობს ხელს.

"როიტერის" ცნობით, ჰამენეიმ ირანელ ოფიციალურ პირებს მოუწოდა, რომ თავი ერთმანეთის საჯაროდ ლანძღვას დაანებონ. პარლამენტში პრეზიდენტ მაჰმუდ აჰმანიდეჯადის კონსერვატორი მეტოქეები მუდმივად აკრიტიკებენ მის ეკონომიკურ პოლიტიკას, ძირითადად, იმის გამო, რომ პრეზიდენტმა საკვებ პროდუტებზე ფასების მატების შეჩერება ვერ მოახერხა.

"პრობლემები რეალურად არსებობს, თუმცა აღნიშნულში ამა თუ იმ პარტიის დადანაშაულება არ უნდა მოხდეს. პრობლემების გადაჭრისათვის აუცილებელია გაერთიანება. უსარგებლო დავა სიკეთეს ვერ მოიტანს. ამით ხალხში პრესტიჟსა და პატივს დაკარგავთ," - აღნიშნავს ჰამენეი.

ჰამენეის განცხადებით, დაწესებულმა სანქციებმა ირანზე მეტად დასავლეთი დააზარალა. მან მაგალითად ევროზონაში არსებული კრიზისი მოიყვანა.

ამერიკამ და ევროკავშირმა ბოლო ნახევარი წლის განმავლობაში ირანის წინააღმდეგ მკაცრი სანქციები დააწესეს. ეს ეკონომიკური სანქციები იმაზე ბევრად უფრო სერიოზულია, ვიდრე გაეროს უშიშროების საჭოს მიერ დაწესებული სანქციები ამ სახელმწიფოს წინააღმდეგ. იმ რეზოლუციის თანახმად, რომელსაც მხარი ირანის მფარველებმა - რუსეთმა და ჩინეთმაც დაუჭირეს, ირანისთვის ძირითადად იკრძალება სამხედრო და ბირთვული დანიშნულების საქონლის მიწოდება. ეს ე.წ. მსუბუქი სანქციები ყველასთვის სავალდებულოა. დასავლეთი შიშობს რომ ირანი ბირთვული იარაღის შექმნაზე მუშაობს. ირანი, თავის მხრივ, აღნიშნულს უარყოფს და აცხადებს, რომ ბირთვულ პროგრამაზე მუშაობა მას მხოლოდ მშვიდობიანი მიზნებისათვის სჭირდება.

2012 წელს ქვეყნის ბირთვულ პროგრამასთან დაკავშირებით დასავლეთმა ირანთან სამი შეხვედრა გამართა, თუმცა შეხვედრები შეთანხმების გარეშე დასრულდა. ირანი ირწმუნება, რომ მას ურანის გამდიდრების სრული უფლება გააჩნია. მსოფლიოს წამყვან ქვეყნებს სურთ, რომ ირანმა გაეროს რეზოლუციას მისდიოს, რომელიც ურანის გამდიდრებაზე მუშაობის შეწყვეტას მოითხოვს.

ჰამენეის განცხადებით, ადრე ირანი ცდილობდა, დასავლეთს დაახლოებოდა, თუმცა ამის შედეგად ის მიიღეს, რომ დასავლეთმა თეირანის უფლებების აღიარებაზე უარი თქვა. "დასავლეთი ისე გაკადნიერდა, რომ როდესაც ჩვენი მაღალჩინოსნები სამ ცენტრიფუგაზე იყვნენ თანახმა, ამაზეც წინააღმდეგობა გაგვიწიეს. ახლა კი ჩვენს ქვეყანას 11 000 მოქმედი ცენტრიფუგა გააჩნია. ყველა ამ რეალობიდან გამომდინარე, ჩვენ ეს გზა წინააღმდეგობის მიუხედავად უნდა გავაგრძელოთ," - დაამატა ჰამენეიმ.

რომნის საერთაშორისო წინასაარჩევნო ტურნე

თამთა კახაძე

დიდ ბრიტანეთში ოლიმპიური თამაშების დაწყების ფონზე ამერიკის პრეზიდენტობის კანდიდატი მიტ რომნი ბრიტანეთის ლიდერებს ხვდება. რომნის მთავარი გზავნილი შემდეგია - იგი აღიარებს და დიდ პატივს სცემს ამერიკა-ბრიტანეთს შორის განსაკუთრებულ ურთიერთობას და ამ ქვეყანას შეერთებული შტატების უმთავრეს მოკავშირედ მიიჩნევს. "ამერიკასა და დიდ ბრიტანეთს შორის განსაკუთრებული ურთიერთობა არსებობს, რომელიც სათავეს დიდი ხნის წინ იღებს," - აღნიშნა რომნიმ ლონდონში NBC News-თან ინტერვიუში.

"ნიუ-იორკ ტაიმსის" ცნობით, წინასააარჩევნო ტურნეს ფარგლებში რომნი დიდ ბრიტანეთის გარდა ისრაელსა და პოლონეთსაც ეწვევა.

რომნი გაერთიანებულ სამეფოში შეხვდება ქვეყნის მოქმედ და ყოფილ პრემიერ-მინისტრებს დევიდ კამერონსა და ტონი ბლერს. ასევე, დაგეგმილია შეხვედრა ნიკ კლეგთან (ლიბერალ-დემოკრატების ლიდერი, რომელიც თან მმართველი კოალიციის წევრი და პრემიერის მოადგილეა) აგრეთვე ედ მილიბენდთან, რომელიც ოპოზიციურ ლეიბორისტულ პარტიას ხელმძღვანელობს.

ცხადია, რომნი პრეზიდენტობის პირველი კანდიდატი არ არის, რომელიც წინასაარჩევნო პერიოდში დიდი ბრიტანეთის ლიდერებს ხვდება. 2008 წელს წინა საარჩევნო კამპანის დროს დემოკრატების საპრეზიდენტო კანდიდატი ბარაკ ობამაც შეხვდა ბრიტანეთის პოლიტიკურ ხელმძღვანელობას.

თუმცა, მიტ რომნისათვის ეს კამერონთან პირველი შეხვედრა არ იქნება. რომნი ბრიტანეთის პრემიერს 2011 წელს ლონდონში ვიზიტისას შეხვდა. თუმცა, როდესაც კამერონი 2012 წელს ამერიკაში იმყოფებოდა და მოქმედ პრეზიდენტს შეხვდა, მის მთავარ კონტურენტს - რომნის არ შეხვედრია.

როგორც აღნიშნავენ ოდნავ უჩვეულოა ის ფაქტი, რომ რომნი პრემიერის მოადგილეს ხვდება. თუმცა, ეს იმის გამო ხდება, რომ ბრიტანეთს კოალიციური მთავრობა მართავს, რომელშიც ნიკ კლეგის ლიბერალურ-დემოკრატიული პარტია და კამერონის კონსერვატიული პარტიაა გაერთიანებული.

რომნის ოფიციალურ შეხვედრამდე «დეილი ტელეგრაფი»-ი აშშ პრრეზიდენტობის კანდიდატის ერთ-ერთი მრჩეველის განაცხადებას აქვეყნებს, სადაც საუბარია რომ რესპუბლიკელები განსაკუთრებით აფასებენ ამერიკა-ბრიტანეთის ურთიერთობას, რომელიც "ანგლო-საქსონურ მემკვიდრეობას" ეფუძნება. თუმცა, თეთრი სახლი ამ საერთო ისტორიას სათანადოდ არ აფასებს. თუმცა, რომნი აღნიშნულ განცხადებას სწრაფად გაემიჯნა: "მე არ ვეთანხმები ამ განცხადებას, რომელ მრჩეველსაც არ უნდა ეთქვა".

ამერიკის ვიცე-პრეზიდენტმა ჯო ბაიდენმა და ობამას თანაშემწეებმა უკვე გააკრიტიკეს რომნი: "დღეს დილით გავრცელებული შეფასებები რომნის წინასაარჩევნო კამპანიის შემაშფოებელი დასაწყისია" - აღნიშნავს ბაიდენი.

ბურგასში ავტობუსის აფეთქებაში ირანმა ისრაელი დაადანაშაულა (!?)

ირანმა უარყო ბულგარეთში იმ ავტობუსის აფეთქების ბრალდება, რომელშიც ისხდნენ ტურისტები ისრაელიდან. სამაგიეროდ, მომხდარში ისრაელი დაადანაშაულა. გუშინ გაეროს უშიშროების საბჭოში გამოსვლისას ორგანიზაციაში ირანის მუდმივმა წარმომადგენელმა მოჰამედ ჰაზაიმ განაცხადა: "თეირანი ტერორიზმის ნებისმიერ ფორმას გმობს და ბურგასში მომხდარ აფეთქებასთან არავითარი კავშირი არ აქვს." ჩვენს მკითხველს შევახსენებთ, რომ 18 ივლისს ბურგასის აეროპორტში ტურისტების ავტობუსი აფეთქდა, რასაც 6 ადამიანი ემსხვერპლა. დაშავდა 36 კაცი. "ჩვენ უდანაშაულო ხალხის მკვლელობაში მონაწილეობას არასდროს მივიღებთ. მსგავსი ტერორისტული ოპერაციის ჩატარება და დაგეგმვა მხოლოდ იმ რეჟიმს შეეძლო, რომლის ისტორიაც სავსეა ტერაქტების მოწყობით." - განაცხადა ჰაზაიმ, რომლის თქმითაც, მას არაერთი მაგალითის მოყვანა შეუძლია, თუ როგორ კლავდა ისრაელი საკუთარ მოქალაქეებს იმის გამო, რომ შემდეგ ეს სხვებისათვის დაებრალებინა.

შვეიცარიამ ჰოსნი მუბარაქის ახალი აქტივები გაყინა

შვეიცარიის პროკურატურის წარმომადგენლის ჟანეტ ბალმერის ცნობით, შვეიცარიის ხელისუფლებამ ეგვიპტის ყოფილი პრეზიდენტის ჰოსნი მუბარაქის ახალი აქტივები აღმოაჩინა და გაყინა. ბალმერის ცნობით, მთლიანად გაყინულია დაახლოებით 700 მილიონი ფრანკი. ადრე 410 მილიონი ფრანკის გაყინვის შესახებ იყო ცნობილი, რომელიც მუბარაქის ორ ვაჟს ეკუთვნოდა. გაყინული თანხა, შესაძლოა, ეგვიპტის ახლანდელ ხელისუფლებას გადაეცეს.

84 წლის მუბარაქი ქვეყნის მმართველობას გასული წლის თებერვალში ჩამოაშორეს. 2012 წლის ივნისში მას სამუდამო პატიმრობა მიესაჯა. პრეზიდენტს დემონსტრანტების მკვლელობაში ედება ბრალი.

რუსეთი საკუთარი ჯაშუშების შვილების გადაბირებასაც შეეცადა"

The Wall Street Journal-ის ინფორმაციით, რუსეთის ჯაშუშური ქსელი, რომელიც ამერიკაში ორი წლის წინ გამომჟღავნდა, მომავალში საკუთარი აგენტების შვილების გადაბირებას გეგმავდა. კადრები ამერიკაში გაზრდილი ბავშვების სახით განსაკუთრებით ძვირფასია რუსული დაზვერვისათვის. ჟურნალისტის ცნობით, ერთ-ერთი ახალგაზრდა, მშობლებთან ერთად, ჯაშუშობას უკვე დათანხმება კიდეც. მისი სახელი და გვარია ტიმ ფოლი, რომელიც დონალდ ჰითფილდისა და ტრეისი ფილის ვაჟია. მისი მშობლები ათ დაკავებულ აგენტს შორის არიან. მშობლების დაკავების დროს იგი 20 წლის იყო, ის ვაშინგტონის უნივერსიტეტში სწავლობდა და აქტიურად ემზადებოდა ჯაშუშის კარიერისათვის. "დაკავებამდე მშობლებმა მას გაუმხილეს, რომ ორმაგ ცხოვრებას ეწევიან და სურთ, ისიც მათ კვალს გაჰყვეს. იგი დათანხმდა. ჯაშუშების ვაჟი მოსკოვში წასვლაზე და იქ საიდუმლო აგენტის ოფიციალური კურსის გავლაზეც თანახმა იყო," - აღნიშნავს გამოცემის წყარო. ტიმ ფოლის მამის ადვოკატმა პიტერ კრაპმა ამ ცნობას "სისულელე" უწოდა. ამერიკის კონტრდაზვერვა კი ვარაუდობს, რომ ზოგიერთი ამერიკელი აგენტის ბავშვებს ჯაშუშობაში ასაკის მატებასთან ერთად ჩართავდნენ. 2010 წელს ამერიკამ რუსეთის ათი ჯაშუში გამოააშკარავა. ამის შემდეგ ვაშინგტონმა მოსკოვს ჯაშუშები ოთხ პატიმარში გაუცვალა.

მოამზადა თამთა კახაძემ

ძვირფასო მკითხველო

7 წლის ლუკა წულეისკირს, რომელიც დაავადებულია- **მწვავე ლიმფოიდური ლეიკემიით** და ამჟამად გადის მკურნალობას ინტენსიური ქიმიოთერაპიის კურსით გერმანიაში, ქალაქ ფრაიბურგის საუნივერსიტეტო ბავშვთა კლინიკაში აუცილებლად ესაჭიროება **ძვლის ტვინის ღეროვანი უჯრედების გადანერგვის გადაუდებელი ოპერაცია.**

გთხოვთ, გულთან ახლოს მიიტანოთ პატარა ლუკას მდგომარეობა, გამოიჩინოთ გულისხმიერება და შესაძლებლობის ფარგლებში, **ნებისმიერი ოდენობის** (მცირეოდენი) შენატანებით დაგვეხმაროთ ოპერაციისთვის საჭირო თანხების შეგროვებაში.

საბანკო რეკვიზიტები:
ბანკის კოდი: **KSBGGE22**
ბანკის დასახელება: **კორ-სტანდარტ ბანკი**
ანგარიში: **GE19KS0000000360800511**
მიმღები: **ა(ა)იპ ლუკა წულეისკირის დახმარების ფონდი**

ასევე შესაძლებელია ჩარიცხვა განხორციელდეს ნებისმიერი მობილური ოპერატორის მეშვეობით (1 ზარის ღირებულებაა 1 ლარი) შემდეგ ნომერზე:

0 901 500 552

წინასწარ გიხდით დიდ მადლობას თქვენი თანადგომისა და დახმარებისთვის.

ᲫᲕᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔ ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

ᲐᲠᲥᲘᲕᲘᲡᲓᲐᲜ

როცა გასულ წელს ბათუმში გადაღებულ ფოტოებს ვათვალიერებთ, იმდენად შეცვლილია მისი არქიტექტურა, რომ ამ ფოტოებმა უკვე შეიძინა ისტორიული მნიშვნელობა," - ამბობს ეროვნული არქივის საზოგადოებასთან ურთიერთობის მთავარი სპეციალისტი თეა ქიმერიძე.

ქუთაისი მესამე ქალაქია ეროვნული არქივის პროექტისა, რომელზეც გურამ წიბახაშვილმა იმუშავა. "საქართველოს ქალაქები" გასულ წელს იუსტიციის სამინისტროს, ეროვნული არქივისა და გურამ წიბახაშვილის მონაწილეობით ბათუმში განხორციელდა და ფოტოები ბათუმის იუსტიციის სახლში გამოიფინა. მანამდე კი, 2009 წელს ძველი თბილისის ფოტოების თანამედროვე ვარიანტები ფოტოგრაფმა გიორგი მეურმიშვილმა გადაიღო, რასაც სპეციალური გამოფენა თბილისში მიეძღვნა.

ქუთაისის ისტორიული ფოტოებიდან ყველაზე ძველი 1870 წლით თარიღდება და მასზე ბაგრატის ტაძარია გამოსახული. ეს ტაძარი გასულ საუკუნეშიც ხშირად ხვდებოდა ობიექტივში - ეროვნული არქივის ფოტოფონდში მისი ათამდე ფოტოა შემონახული, მათ შორის, მე-20 საუკუნის დასაწყისში ტაძრის რეკონსტრუქციის ამსახველიც.

ქუთაისის ხედებიდან ერთ-ერთი ძველი ფოტო ნონეშვილის ქუჩაზე გვიყვება, ჯაჭვის ხიდზე კი, როგორც ჩანს, საგანგებოდ გაჩერდა ხალხი, ფოტოგრაფის ობიექტივში მოსახვედრად. ქუთაისის კოლორიტის - თეთრი ხიდის ფოტოებს შორის შემორჩენილია თეთრი ხიდის მშენებლობის პროცესიც. გურამ წიბახაშილმა იგი ორივე სანაპიროდან გადაიღო, მათ შორის - "პიკასოს ბიჭის» სკულპტურით, რაც მე-20 საუკუნის მეხსიერება და 21-ის პროდუქტია. მე-20 საუკუნის ათიან წლებს ეკუთვნის ქუთაისის სინაგოგას ფოტო, რომელსაც მაშინ რეკონსტრუქცია უტარდებოდა და ფოტოგრაფს მუშებიც დაუფიქსირებია. აი, წმინდა ნინოს ქუჩა კი სრულიად შეცვლილია, მასზე დღეს ბალანჩივაძის სახელობის ოპერის თეატრია აშენებული. "პატარა ყაფანი» კი ქუთაისის ქუჩის ბაზარზე გვიყვება, სადაც გლეხებს სოფლიდან ჩამოტანილი პროდუქტი აქვთ გამოფენილი. აქ, როგორც ჩანს, პროდუქტებთან ერთად, სხვა ნივთებიც გამოჰქონდათ. ფოტოზე ჩანს, როგორ მიაქვს ერთ-ერთ მოქალაქეს სახლში იქვე ნაყიდი რკინის საწოლი...

ფოტოგრაფმა გურამ წიბახაშვილმა ქუთაისში ათასამდე ფოტო გადაიღო, საიდანაც 40-მდე ფოტო შეირჩა, რომელთაგან 25-მდე ფოტო - ძველის ანალოგი იყო. ფოტოხელოვანი ქუთაისს წლის სხვადასხვა სეზონსა და ამინდში ეწვია, რათა ანალოგები შეექმნა და ახალი ქალაქიც აღებეჭდა, ღამის განათებებით, შადრევნით, პარლამენტით, იუსტიციის სახლით, ანუ, იმ ნიშნებით, რასაც 21-ე საუკუნის ათიანი წლები ჰქვია.

ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲐ ᲓᲦᲔᲡ

ᲗᲝᲛᲐ ᲐᲑᲗᲡᲘ - ᲝᲞᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲘᲠᲔᲐᲚᲣᲠᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲫᲕᲔᲚᲘ ᲐᲕᲐᲜ�გᲐᲠᲓᲘᲡ ᲛᲔᲓᲘᲐᲢᲝᲠᲘ

ᲡᲝᲤᲝ ᲙᲘᲚᲐᲡᲝᲜᲘᲐ

ტომა აბტსი (Tomma Abts - 1967წ.) - მან ბოლო ათწლეულის განმავლობაში აბსტრაქციონიზმის ახალი პერსპექტივებისა და ჯერ კიდევ აღმოცენების შესაძლებლობების წარმოჩენით გააცნო თავი მსოფლიოს არტისტულ საზოგადოებას. ამ აღმოჩენას კრიტიკა ნამდვილად არ ელოდა, რადგანაც დიდი აბსტრაქციონისტების და მათი უკვე კლასიკადქცეული ხელოვნების შემდეგ, იმ მხატვრობის აქტუალიზება, რომელიც ექოა რუსული კონსტრუქტივიზმისა, დიდი ხანი აოცებდა კრიტიკას.

ტომა აბტსი არ აკეთებს წინასწარ ჩანახატებს და, როგორც თავად ამბობს, არასდროს იცის, კონკრეტულად რისკენ მიდის მუშაობის პროცესი და რა მასალას საჭიროებს რომელიმე ნამუშევრისთვის. იწყება პროცესი და პროცესში იბადება არაფიგურატიული კომპოზიცია, საოცარი მიზანსწრაფულობის, კონცენტრაციისა და ენერგეტიკის ნამუშევრები.

ამ მუხტის შექმნას კი მხატვარი მრავალფეროვანი მოტივებით ახერხებს, იქნება ეს ერთმანეთში ჩახლართული ან ერთმანეთზე გადადებული ფენები თუ სხივები. შუქ-ჩრდილით ქმნის მოცულობით ხაზს; ჩრდილის გარდა, ხშირად მისი კომპოზიციები რელიეფურია და ამით თითქოს დამთვალიერებელი იწყებს არავერბალურ კომუნიკაციას სრულიად აბსტრაქტული იდეების მანიპულაციით.

მიუხედავად იმისა, რომ ტომა აბტსის ხელოვნება რიგი ნამუშევრების შემთხვევაში აშკარად ოპ-არტთან (ოპტიკურ ხელოვნებასთან) ავლენს სიახლოვეს, მხატვრის ინსტიპრაციის წყარო მაინც უპირველესად მეოცე საუკუნის 20-30-იანი წლების აბსტრაქციონიზმი და კონსტრუქტივიზმია.

ტომა აბტსმა 2006 წელს მიიღო ტერნერის პრემია. ეს არის დიდი ბრიტანეთის ყველაზე მნიშვნელოვანი პრემია ვიზუალური ხელოვნების სფეროში. ტერნერის პრემიის ჟიურიმ გადაწყვიტა, რომ აბტსმა შექმნა «განუმეორებელი ხატებები, რომლებიც თანდათან ავლენენ საკუთარ შინაგან სირთულეს, მრავალფეროვნებას და ამოუწურავ ასპექტებს."



აღსანიშნავია, რომ ტომას ნამუშევრებს ძირითადად ერთი და იგივე, საკმაოდ მცირე ზომები აქვთ - 48სმx38სმ.

რა თქმა უნდა, არსებობს მასზე დაწერილი და გამოთქმული არცთუ მიმზიდველი კრიტიკაც. მიზეზი ალბათ გასაგებია - მხატვარი ხომ თავისებურად იმეორებს სხვათა გამოცდილებას. მაგალითისთვის, არტკრიტიკოსი ნიკლას მააკი ტომა აბტსის ნამუშევრებს «გდრ-ის ძველი ფაბრიკის ტრაფარეტებს" ადარებს, ასევე აღნიშნავს, რომ მხატვარს სამშობლოში ანუ გერმანიაში თითქმის არავინ იცნობს და იმით აოცებს დანარჩენ ევროპას, რაც თავის დროს ბევრად უკეთ გააკეთეს კონსტრუქტივისტებმა და ნეო-კონსტრუქტივისტებმა. ასეა თუ ისე, ტომა აბტსი შესულია საუკეთესო და ყველაზე მნიშვნელოვანი თანამედროვე ევროპელი მხატვრების კატალოგებში; გამართული აქვს რამდენიმე პერსონალური გამოფენა დიდ ბრიტანეთში, გერმანიასა და საფრანგეთში და ფაქტია ისიც, რომ კრიტიკასაც აძლევს განსჯისა და, სულ ცოტა, გაღიზიანების საბაბს.

"ბანკ კონსტანტას" და "შავნაბადას" უნიკალური პროექტი ქართული ფოლკლორის მხარდასაჭერად

ყენებადი საშუალებაა, ახალგაზრდები კი ინტერნეტის ყველაზე აქტიური მომხმარებლები არიან. ქართული ფოლკლორის ცოცხალ ლეგენდებს დღეს სათანადო ყურადღება არ ექცევათ. ჩვენ გვსურს, მათ ვაგრძნობინოთ, რომ საქართველოს სჭირდებიან და რომ მათი ღვაწლი დაფასებულია," - ამბობს "ბანკი კონსტანტას" საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი ქეთო გიორგობიანი.

ბანკი თითოეულ შემსრულებელს თავის ახალ, დაგროვებითი ტიპის პროდუქტს, "ინბოქსს" გაუხსნის. ინტერნეტში გაყიდული ყველა სიმღერის საფასური ავტომატურად კონკრეტული შემსრულებლის "ინბოქსის" ანგარიშზე ჩაირიცხება. **"პირველი შემთხვევაა, როდესაც თითოეული გაყიდული სიმღერიდან შემოსული თანხა შემსრულებლებს საკუთარ "ინბოქსის" ანგარიშზე ავტომატურად ჩაერიცხებათ. თანაც მათ ექნებათ საშუალება, შემოსავალი ყოველგვარი შუამავლისა და ბანკის გარეშეც კი აკონტროლონ. ამ პროექტში ბანკს არავითარი კომერციული ინტერესი არ გააჩნია, პირიქით, ინბოქსი დაგროვებითი ტიპის პროდუქტია და ჩარიცხულ თანხაზე ბანკი მომხმარებელს წლიურ სარგებელსაც კი დაარიცხავს,"** - გვითხრა ქეთო გიორგობიანმა.

გარდა ამისა, ნებისმიერ მსურველს საშუალება მიეცემა, მხარი დაუჭიროს თავისი ფავორიტი შემსრულებლის შემოქმედებას და "ინბოქსში" სასურველი თანხა ჩაურიცხოს. "ინბოქსი" განსაკუთრებით მოქნილი პროდუქტია, რადგან სხვა საბანკო პროდუქტებისგან განსხვავებით, მას მარტივი, ექვსნიშნა ანგარიშის ნომერი ("ინბოქსის" ნომერი) აქვს, რომელსაც მომხმარებელი საკუთარი სურვილისამებრ ირჩევს. "ინბოქსის" ანგარიშის გასახსნელად, ისევე, როგორც თანხის ჩასარიცხად, ბანკში მისვლა აუცილებელი არ არის: ანგარიშის შევსება სწრაფი გადახდის აპარატების მეშვეობით 24 საათის განმავლობაშია შესაძლებელი და, რაც მთავარია, - არანაირი მინიმალური შენატანი! დაგროვილ თანხაზე ბანკი "ინბოქსის" მფლობელს წლიურ სარგებელსაც ურიცხავს.

ანსამბლ "შავნაბადასთან" "ბანკი კონსტანტა" დიდი ხანია თანამშრომლობს. მათი ერთობლივი პროექტი - დოკუმენტური ფილმების ციკლი "გაიცანი საქართველო" საკმაოდ წარმატებული აღმოჩნდა. **"ანსამბლ "შავნაბადასთან" ჩვენ დიდი ხანია ვთანამშრომლობთ. ვენდობით მათ და ვიცით, რომ ანსამბლის წევრები პროექტის ბოლოს სწორედ იმ დონის ნამუშევარს მოგვაწოდებენ, როგორიც გვჭირდება,"** - აცხადებს "ბანკი კონსტანტას" საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი და აქვე აღნიშნავს, რომ სტუდიური ჩანაწერების მომზადების შემდეგ, პროექტის კომერციალიზაციას უკვე ბანკი უზრუნველყოფს.

რაც შეეხება პროექტს "გაიცანი საქართველო", "კონსტანტაში" აცხადებენ, რომ ის გრძელდება, თუმცა მიმართულება შეიცვალა და წინამორბედი ფილმებისგან განსხვავებით, სადაც აქცენტი ამა თუ იმ თემაზე კეთდებოდა, ახლა უკვე პორტრეტებზე ორიენტირებული დოკუმენტური ფილმები მომზადდება. **"პროექტის მიზანია იმ ადამიანების ღვაწლის დაფასება, რომლებიც ხალხურ კულტურას დღემდე ინახავენ და ერთგულად ემსახურებიან,"** - გვითხრა ქეთო გიორგობიანმა.

წარმატებული თანამშრომლობის შემდეგ, ახალი პროექტის შემოქმედებითი მხარე, რომელიც ქართული ფოლკლორული სიმღერების ჩაწერას გულისხმობს, "ბანკმა კონსტანტამ" ანსამბლ "შავნაბადას" გადააბარა. მომღერლები და ის 30 სიმღერა, რომლებიც პროექტის ფარგლებში უნდა ჩაიწეროს, სწორედ მათ შეარჩიეს. **"პროექტის მხატვრული მხარის უზრუნველყოფა საკმაოდ საპასუხისმგებლო საქმეა, მაგრამ შიში არ გვაქვს. ეს პროექტი საქართველოს საპატრიარქოსთან არსებულ, ახალგაზრდა მომღერალ-მგალობელთა, მკვლევართა და მეცნიერთა ლიგასთან ერთად ხორციელდება, რომლის წევრიცაა "შავნაბადა", ასევე, კონსულტაციებს გავდივართ ანზორ ერქომაიშვილთან. ამ დიდებულ საქმეს კვირას პატრიარქი აკურთხებს. ჩვენ ვიცით, რასაც ვაკეთებთ და ყველაფრისთვის მზად ვართ... 30 სიმღერას 10 მომღერალი შეასრულებს. ისეთი დონის შემსრულებლები, როგორებიც არიან ტრისტან და გური სიხარულიძეები, პოლიკარპე ხუბულავა, ანდრო სიმაშვილი, ისლამ ფილფანი, 10 ნამდვილად არ გვყავს, თუმცა პროექტის ყველა მონაწილეს თავისი განსაკუთრებული პეწი აქვს,"** - ამბობს ანსამბლ "შავნაბადას" ხელმძღვანელი დათო ცინცაძე.

სპეციალისტებს მიაჩნიათ, რომ პროექტის საშუალებით ქართველ ლოტბარებს შემოსავლის წყარო გაუჩნდებათ და, პარალელურად, ფოლკლორული მუსიკა ინტერნეტსივრცეში ლეგალურად მოხვდება. **"ეს არის უდავოდ უპრეცედენტო პროექტი. მომღერლები უფასოდ წერენ სიმღერას, რომელიც ისტორიას რჩება. ხალხური სიმღერა იმითაა ძლიერი რომ ლოტბარი იმპროვიზირებს, ყოველ შესრულებაზე ახალ სიმღერას ქმნის. გარდა ამისა, ქართული ფოლკლორული სიმღერა მსოფლიო ასპარეზზე ახალი კუთხით გავა. მსოფლიო ქართულ ხალხურ სიმღერებს ძალიან კარგად იცნობს და ჩვენ გვინდა, რომ ამ ცნობადობის გაზრდას ხელი შევუწყოთ... მე ვიტყოდი, რომ ეს არის იმ დიდი პროექტის დასაწყისი, რომლის განხორციელება მომავალშიც უნდა გაგრძელდეს..."** - გვითხრა დათო ცინცაძემ.

ფოლკლორული სიმღერების ჩაწერის პროცესი აგვისტოს მეორე ნახევარში დასრულდება. სექტემბრის ბოლოსთვის კი ფოლკლორული მუსიკის მოყვარულებს საშუალება მიეცემათ, ინტერნეტში "ბანკ კონსტანტას" და ანსამბლ "შავნაბადას" ერთობლივი მუშაობის შედეგები მოისმინონ.

აღსანიშნავია, რომ "ბანკმა კონსტანტამ" პროექტის ფარგლებში შერჩეული მომღერლების ისტორიები და ფოტოპორტრეტები შექმნა, რომელთა გავრცელებაც სოციალურ ქსელებში "არტ-გენი 2012"-ის დასკვნითი ნაწილის პარალელურად მიმდინარეობს.

აგვისტოს დასაწყისში "ბანკი კონსტანტა" უნიკალური პროექტის განხორციელებას იწყებს. "ბანკ კონსტანტას" ინიციატივითა და ანსამბლ "შავნაბადას" ხელმძღვანელობით, მთელი საქართველოს გარშემო ექსპედიცია მოეწყობა და მოძრავი ხმის ჩამწერი სტუდიის მეშვეობით, ქართულ ფოლკლორში მოღვაწე უხუცესი ლოტბარების სიმღერები ჩაიწერება. საბოლოოდ კი ჩანაწერები ინტერნეტსივრცეში კომერციული მიზნით გავრცელდება.

პროექტის ფარგლებში პირველი აგვისტოდან 2 კვირის განმავლობაში "ბანკი კონსტანტა" და "შავნაბადა" ანსამბლის მოძრავი ხმის ჩამწერი სტუდიით საქართველოს ყველა რეგიონს მოივლიან. ისინი ეროვნული ფოლკლორის ცოცხალი ლეგენდების - კახეთში ანდრო სიმაშვილის, სამეგრელოში პოლიკარპე ხუბულავას, ზემო სვანეთში ისლამ ფილფანის და კიდევ შვიდი მომღერლის შესრულებით 30 საუკეთესო ფოლკლორული სიმღერის ნიმუშს ჩაწერენ. **"პროექტის ფარგლებში შერჩეულ მომღერლებს ჩვენი წარდგენა არ სჭირდებათ, თუმცა დღევანდელმა ვითარებამ გვაჩვენა, რომ განსაკუთრებით ქალაქებსა და ახალ თაობაში ფოლკლორი სულ უფორ ნაკლებად პოპულარული ხდება. ამიტომაც გვსურს, რომ ხალხური სიმღერების მიმართ ინტერესი გაიზარდოს. პროექტი დაკავშირებული იქნება ინტერნეტთან. ეს დაგვეხმარება, რომ ფოლკლორი უფრო პოპულარული გახდეს, რადგანაც ინტერნეტი სწრაფი და გამო-**

"ჩემს ხმაურზე მეუღლე და ბავშვები შემოცვივდნენ, რა ხდებაო... რაღა რა ხდებოდა?! ხელში ფაქტობრივად, 50 ათასი მეჭირა"

ნატახტარის ტრადიციული გათამაშების ყველაზე იღბლიანი რუსთავის მკვიდრია

"62 წლის ვარ, ასეთი სიხარული დიდი ხანია აღარ განმიცდია, დაუჯერებელი იყო, მართლა არ მეგონა ეგ ის იღბლიანი ადამიანი თუ მე აღმოვჩნდებოდი..." - ემოციებს ვერ მალავდა ჩვენთან საუბრისას "ნატახტარის" ტრადიციული გათამაშების გამარჯვებული ოლეგ ღვინიანიძე, რომელიც "ნატახტარის გათამაშების" მთავარი პრიზის - 50 ათასი ლარის მფლობელი გახდა.

ცხოვრობს ქალაქ რუსთავში, ჰყავს მეუღლე და ორი შვილი. როგორც თავად ამბობს ლუდის სიყვარულმა ბედს აზიარა.: "ლუდი ძალიან მიყვარს, "ნატახტარი" ყველაზე მეტად. დღე არ გავა ლუდი არ დავლიო. ეს საბედისწერო დღეც ასე დაიწყო. სამსაუხრიდან დაღლილი დავბრუნდი, ისეთი დაღლილი მაღაზიაში შევლაც კი დავიზარე, მეგობარს ვთხოვე ლუდი ეყიდა და ფული მივეცი. რა ვქნა 2 ლიტრიანი არ იყო და 2,5 ლიტრიანი ვიყიდეო. უფრო მეტი ლუდი შეგვხდება მეთქი - გავეხუმრე. სახლში ავედით, კათხები შევავსეთ და უკვე უნდა მომესვა, თავსახური ავიღე და გავიფიქრე, ორჯერ 20 ლარი მოვიგეთ და აბა, მესამედ რას გვიმზადებს ნატახტარი. 50 რომ დავინახე, თავდაპირველად მეგონა ბოთლი მოვიგე, თვალებს არ ვუჯერბდი, ჩემს ხმაურზე მეუღლე და ბავშვები შემოცვივდნენ, რა ხდებაო... რაღა რა ხდებოდა?! ხელში ფაქტობრივად, 50 ათასი მეჭირა."

- პირად ცხოვრებაშიც ასე გაგიმართლათ?

- ნამდვილად გამიმართლა. მყავს ოჯახი, რომელიც ძალიან მიყვარს. დღემდე შეყვარებული ვარ. უცნაური ხასიათი მაქვს. არ მინდოდა ჩემს მეუღლეს ემუშავა, სურვილი მქონდა ის მარტო დიასახლისი ყოფილიყო და ყველაზე დიდი დრო ოჯახისთვისა და ბავშვებისთვის დაეთმო. ასეც მოხდა. ძალიან კარგი დიასახლისი და ოჯახის მოსიყვარულე ადამიანია.

გარადა ამისა, ისედაც იღბლიანი ვარ. ადრე ავარიაში მოვყევი, ჩემთან ერთად ვინც იყო, ყველა საავადმყოფოში მოხვდა, მე ერთი ნაკაწრიც არ მქონდა. ალბათ თავიდანვე მფარველი მყავს ზემოთ.

- 50 ათასის მოგებასაც თქვენს იღბალს მიაწერთ?

- რა თქმა უნდა. ჩემს იღბლას და ლუდის სიყვარულს. თუმცა არ მეგონა ასეთი რამე თუ რეალურად ხდებოდა. არც მეზობლები და ახლობლები იჯერებდნენ.

- თქვენ 20 ლარი ორჯერ მოიგეთ ამ გათამაშების ფარგლებში...

- ესეც მოუდლონელი იყო, ჯერ ჩემმა შვილმა და შემდეგ მე. მეუღლეს ვთხოვე გაეხნა ბოთლი, და გახარებულმა აბა, გამოიცანი ხელში რა მიჭირავსო. არ ვუჯერებდი, 20 ლარი რომ დამანახა, გამეცინა. ვუთხარი "ნატახტარის" სახელზე ტყემალი გაეკეთებინა და ვაჩუქე. საკმაოდ გემრიელი ტყემალი გამოგვივიდა.

- თავად როგორი მზარეული ხართ?

- მიუხედავად იმისა რომ, ჩემი მეუღლე საუკეთესო დიასახლისია, მეც მიყვარს სამზარეულოში ყოფნა და საკმაოდ გემრიელი კერძები გამომდის. თუმცა მინდა ვაღიარო, ამას მაშინ ვინდომებ, როცა სახლში ქალი არ არის.

- ერთი სიტყვით ყველაფერი გეხერხებათ, რა პროფესიის ხართ?

- მთელი ცხოვრება ვმუშაობ, ზოგჯერ თავად ვიგონებ სამუშაოს, რომ უქმად არ ვიყო. პროფესიით ელექტრიკოსი ვარ, სტაბილური სამსახური არ მაქვს, ამიტომ ძირითადად სხვადასხვა კომპანიებთან ვთანამშრომლობ. ღორების საკუთარი ფერმა მაქვს, შრომა არ მეზარება, ერთი სიტყვით არ ვჩერდები.

- მოგებული თანხის დახარჯავს სად და როგორ აპირებთ?

- ფერმის გაფართოებაზე ვოცნებობდი, ბედმა გამიღიმა და შანსი მომცა. ალბათ თანხის ძირითად ნაწილს მას მოვახმარ. დანარჩენს ოჯახის წევრებს გადავუნაწილებ, მათაც გაუჩნდა გეგმები და სურვილები, რაზეც უარს ვერ ვეტყვი.

ხალიკ ბანკი საქართველო

HALYK BANK

HALYK BANK GEORGIA

ბანკი: სს "ხალიკ ბანკი საქართველო"
თარიღი: 30.06.2012

საბალანსო უწყისი

თარიღი: 30.06.2012

ცხრილი N1

ლარებით

		საანგარიშგებო პერიოდი			წინა წლის შესაბამისი პერიოდი		
N	აქტივები	ლარი	უც. ვალ.	სულ	ლარი	უც. ვალ.	სულ
1	ნაღდი ფული	928,069	208,666	1,136,735	119,431	492,728	612,159
2	ფულადი სახსრები საქართველოს ეროვნულ ბანკში	352,091	1,278,269	1,630,360	224,422	773,315	997,737
3	ფულადი სახსრები სხვა ბანკებში	104,986	3,069,639	3,174,625	7,535,251	5,938,091	13,473,342
4	ფასიანი ქაღალდები დილინგური ოპერაციებისათვის	0	0	0	0	0	0
5	საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	14,698,542	0	14,698,542	10,614,272	0	10,614,272
6.1	მიღებული სესხები	7,028,189	17,246,370	24,274,559	6,432,778	5,549,943	11,982,721
6.2	მინუს: სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვი	(298,824)	(484,993)	(783,817)	(179,012)	(116,732)	(295,744)
6	წმინდა სესხები	6,729,365	16,761,377	23,490,742	6,253,766	5,433,211	11,686,977
7	დარიცხული მისაღები პროცენტები და დივიდენდები	619,018	176,393	795,411	371,158	47,543	418,701
8	დასაკუთრებული უძრავი და მოძრავი ქონება	0	X	0	2,151,621	X	2,151,621
9	ინვესტიციები საწესდებო კაპიტალში	54,000	0	54,000	54,000	0	54,000
10	ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები	7,694,423	X	7,694,423	5,727,860	X	5,727,860
11	სხვა აქტივები	1,342,756	2,223	1,344,979	907,908	1,417	909,325
12	**მთლიანი აქტივები**	32,523,250	21,496,567	54,019,817	33,959,689	12,686,305	46,645,994
	ვალდებულებები						
13	ბანკების დეპოზიტები	0	12,338,250	12,338,250	0	7,521,253	7,521,253
14	მიმდინარე დეპოზიტები (ანგარიშები)	700,654	1,596,105	2,296,759	472,315	411,341	883,656
15	მოთხოვნამდე დეპოზიტები	446,273	380,047	826,320	101,841	121,387	223,228
16	ვადიანი დეპოზიტები	151,487	4,493,369	4,644,856	12,610	4,665,898	4,678,508
17	საკუთარი საგალო ფასიანი ქაღალდები			0			0
18	ნასესხები სახსრები	7,000,000	0	7,000,000	9,000,000	0	9,000,000
19	დარიცხული გადასახდელი პროცენტები და დივიდენდები	2,505	353,603	356,108	544	16,524	17,068
20	სხვა ვალდებულებები	289,214	3,220,722	3,509,936	238,358	10,445	248,803
21	სუბორდინირებული ვალდებულებები	0	0	0	0	0	0
22	**მთლიანი ვალდებულებები**	8,590,133	22,382,096	30,972,229	9,825,668	12,746,848	22,572,516
	სააქციო კაპიტალი						
23	ჩვეულებრივი აქციები	31,000,000	X	31,000,000	31,000,000	X	31,000,000
24	პრივილეგირებული აქციები	0	X	0	0	X	0
25	მინუს: გამოსყიდული აქციები	0	X	0	0	X	0
26	საემისიო კაპიტალი	0	X	0	0	X	0
27	საერთო რეზერვები	0	X	0	0	X	0
28	გაუნაწილებელი მოგება	(7,952,412)	X	(7,952,412)	(6,926,522)	X	(6,926,522)
29	აქტივების გადფასების რეზერვები	0	X	0	0	X	0
30	**სულ სააქციო კაპიტალი**	23,047,588	X	23,047,588	24,073,478	0	24,073,478
31	**მთლიანი ვალდებულებები და სააქციო კაპიტალი**	31,637,721	22,382,096	54,019,817	33,899,146	12,746,848	46,645,994

ეკონომიკური მაჩვენებლები

თარიღი: 30.06.2012

ცხრილი N4

		საანგარიშგებო პერიოდი	წინა წლის შესაბამისი პერიოდი
	კაპიტალი		
1	პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი ? 8%	53.66%	92.40%
2	საზედამხედველო კაპიტალის კოეფიციენტი ? 12%	53.36%	93.07%
3	რისკის მიხედვით შეწონილი აქტივები / მთლიან აქტივებთან	77.28%	51.93%
4	ფულადი დივიდენდები / წმინდა მოგებასთან	0.00%	0.00%
	მოგება		
5	მთლიანი საოპერაციო შემოსავლები / საშუალო წლიურ აქტივებთან	9.70%	9.20%
6	მთლიანი საოპერაციო ხარჯები / საშუალო წლიურ აქტივებთან	3.64%	2.52%
7	საოპერაციო შედეგი / საშუალო წლიურ აქტივებთან	-1.17%	0.22%
8	წმინდა საოპერაციო მარჯა	6.06%	6.68%
9	უკუგება საშუალო აქტივებზე (ROA)	-2.30%	-0.36%
10	უკუგება საშუალო კაპიტალზე (ROE)	-4.97%	-0.55%
	აქტივების ხარისხი		
11	უმოქმედო სესხები / მთლიან სესხებთან	2.12%	0.00%
12	სშდრ / მთლიან სესხებთან	3.23%	2.47%
13	უკეთესი ვალუტით არსებული სესხები / მთლიან სესხებთან	71.05%	46.32%
14	უკეთესი ვალუტით არსებული აქტივები / მთლიან აქტივებთან	39.79%	27.20%
15	მთლიანი სესხების წლიური ზრდის ტემპი	31.56%	19.50%
	ლიკვიდობა		
16	ლიკვიდური აქტივები / მთლიან აქტივებთან	24.51%	34.72%
17	უკეთესი ვალუტით არსებული ვალდებულებები / მთლიან ვალდებულებებთან	72.27%	56.47%
18	მიმდინარე და მოთხოვნამდე დეპოზიტები / მთლიან აქტივებთან	5.78%	2.37%

ინფორმაცია ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს, დირექტორატის და აქციონერთა შესახებ

თარიღი: 30.06.2012

ცხრილი N5

	სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობა
1	ივანე ვახტანგიშვილი - სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე
2	მარატ ალმენოვი - სამეთვალყურეო საბჭოს წევრი
3	დაურენ კარაბაევი- სამეთვალყურეო საბჭოს წევრი
4	
5	
	დირექტორთა საბჭოს შემადგენლობა
1	ნიკოლოზ გეგეჭკორი - გენერალური დირექტორი
2	კონსტანტინე გორდეზიანი - გენერალური დირექტორის მოადგილე
3	შოთა ჭყოიძე - გენერალური დირექტორის მოადგილე
4	
5	
	საწესდებო კაპიტალის 1% და მეტი წილის მფლობელი აქციონერების ჩამონათვალი წილების მითითებით
1	სს "აზიეთის სახალხო ბანკი" - 100%
2	
3	
4	
5	
	ბანკის ბენეფიციერების ჩამონათვალი, რომლებიც პირდაპირ და არაპირდაპირ ფლობენ აქციების 5%-ს ან მეტს წილების მითითებით
1	ტიმურ ყულიბაევი - 34.64%
2	დინარა ყულიბაევა - 34.64%
3	
4	
5	

მოგება - ზარალის უწყისი

თარიღი: 30.06.2012

ცხრილი N2

ლარებით

		საანგარიშგებო პერიოდი			წინა წლის შესაბამისი პერიოდი		
N	საოპერაციო შემოსავლები	ლარი	უც. ვალ.	სულ	ლარი	უც. ვალ.	სულ
1	საოპერაციო შემოსავლები ბანკებიდან "ნოსტრო" ანგარიშებისა და დეპოზიტების მიხედვით	28,902	370	29,272	112,071	12,258	124,329
2	საოპერაციო შემოსავლები სესხებიდან	529,711	905,353	1,435,064	445,465	354,342	799,807
2.1	ბანკთაშორისი სესხებიდან	0	0	0	0	0	0
2.2	ვაჭრობისა და მომსახურების სექტორზე გაცემული სესხებიდან	217,372	449,577	666,949	209,625	333,427	543,052
2.3	ენერგეტიკის სექტორზე გაცემული სესხებიდან			0	0	0	0
2.4	სოფლის მეურნეობისა და მეტყევეობის სექტორზე გაცემული სესხებიდან			0	0	0	0
2.5	მშენებლობის სექტორზე გაცემული სესხებიდან	23,573	32,092	55,665	23,705	2,469	26,174
2.6	სამთომოძებნელი და გადამამუშავებელი სექტორზე გაცემული სესხებიდან			0	0	0	0
2.7	ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის სექტორზე გაცემული სესხებიდან			0	0	0	0
2.8	ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხებიდან	288,766	223,947	512,713	212,135	18,446	230,581
2.9	დანარჩენ სექტორზე გაცემული სესხებიდან		199,737	199,737	0	0	0
3	შემოსავლები ვალუტებიდან/საურავებიდან კლიენტებისთვის მიცემული სესხების მიხედვით	11,353	33,331	44,684	0	0	0
4	საოპერაციო და დისკონტური შემოსავლები ფასიანი ქაღალდებიდან	931,404	0	931,404	770,150	0	770,150
5	სხვა საოპერაციო შემოსავლები	3,229	1,228	4,457	2,021	0	2,021
6	**მთლიანი საოპერაციო შემოსავლები**	**1,504,599**	**940,282**	**2,444,881**	**1,329,707**	**366,600**	**1,696,307**
	საოპერაციო ხარჯები						
7	მოთხოვნამდე დეპოზიტებზე გადახდილი პროცენტები	7,583	65,726	73,309	649	766	1,415
8	ვადიან დეპოზიტებზე გადახდილი პროცენტები	5,435	48,041	53,476	4,238	52,269	56,507
9	ბანკების დეპოზიტებზე გადახდილი პროცენტები	7,809	348,159	355,968	389	25,996	26,385
10	საკუთარ საგალო ფასიან ქაღალდებზე გადახდილი პროცენტები	0	0	0	34,865	0	34,865
11	ნასესხებ სახსრებზე გადახდილი პროცენტები	174,030	0	174,030	132,622	0	132,622
12	სხვა საოპერაციო ხარჯები	54,783	206,611	261,394	0	212,995	212,995
13	**მთლიანი საოპერაციო ხარჯები**	**249,640**	**668,537**	**918,177**	**172,763**	**292,026**	**464,789**
14	**წმინდა საოპერაციო შემოსავალი**	**1,254,959**	**271,745**	**1,526,704**	**1,156,944**	**74,574**	**1,231,518**
	არასაოპერაციო შემოსავლები						
15	წმინდა საკომისიო და სხვა შემოსავლები მომსახურების მიხედვით	23,388	9,443	32,831	28,501	4,342	32,843
15.1	საკომისიო და სხვა შემოსავლები გაწეული მომსახურების მიხედვით	39,331	50,908	90,239	33,439	34,207	67,646
15.2	საკომისიო და სხვა ხარჯები მიღებული მომსახურების მიხედვით	15,943	41,465	57,408	4,938	29,865	34,803
16	მიღებული დივიდენდები	0	0	0	0	0	0
17	მოგება (ზარალი) დილინგური ფასიანი ქაღალდებიდან	0	0	0	0	0	0
18	მოგება (ზარალი) საინვესტიციო ფასიანი ქაღალდებიდან	0	0	0	0	0	0
19	მოგება (ზარალი) ვალუტის კურსთაშორისი ოპერაციებიდან	138,212	0	138,212	31,032	0	31,032
20	მოგება (ზარალი) სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	(19,337)	0	(19,337)	(8,831)	0	(8,831)
21	მოგება (ზარალი) ქონების გაყიდვიდან	0	0	0	0	0	0
22	სხვა საბანკო ოპერაციებიდან მიღებული არასაოპერაციო შემოსავლები	1,797	426	2,223	348	0	348
23	სხვა არასაოპერაციო შემოსავლები	9,444	3,067	12,511	1,876,659	11,873	1,888,532
24	**მთლიანი არასაოპერაციო შემოსავლები**	**153,504**	**12,936**	**166,440**	**1,927,709**	**16,215**	**1,943,924**
	არასაოპერაციო ხარჯები						
25	სხვა საბანკო ოპერაციების მიხედვით გაწეული არასაოპერაციო ხარჯები	100,148	0	100,148	66,827	0	66,827
26	ბანკის განვითარების, საკონსულტაციო და მარკეტინგის ხარჯები	38,724	9,559	48,283	16,936	4,641	21,577
27	ბანკის პერსონალის ხარჯები	1,260,936	0	1,260,936	1,121,034	0	1,121,034
28	ძირითადი საშუალებების საამორტიზაციო ხარჯები	8,697	0	8,697	771	0	771
29	ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯები	218,647	0	218,647	(239,205)	0	(239,205)
30	სხვა არასაოპერაციო ხარჯები	275,265	94,009	369,274	260,595	63,873	324,468
31	**მთლიანი არასაოპერაციო ხარჯები**	**1,902,417**	**103,568**	**2,005,985**	**1,226,958**	**68,514**	**1,295,472**
32	**წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი**	**(1,748,913)**	**(90,632)**	**(1,839,545)**	**700,751**	**(52,299)**	**648,452**
33	**წმინდა მოგება დარეზერვებამდე**	(493,954)	181,113	(312,841)	1,857,695	22,275	1,879,970
34	ზარალი სესხების შესაძლო დანაკარგების მიხედვით	268,912	X	268,912	95,204	X	95,204
35	ზარალი ინვესტიციების და ფასიანი ქაღალდების გაუფასურების შესაძლო დანაკარგების მიხედვით	0	X	0	0	X	0
36	ზარალი სხვა აქტივების შესაძლო დანაკარგების მიხედვით	(3,411)	X	(3,411)	1,851,479	X	1,851,479
37	**მთლიანი ზარალი აქტივების შესაძლო დანაკარგების მიხედვით**	**265,501**	**0**	**265,501**	**1,946,683**	**0**	**1,946,683**
38	**მოგება გადასახადის გადახდამდე და გაუთვალისწინებელ შემოსავალ-ხარჯებამდე**	(759,455)	181,113	(578,342)	(88,988)	22,275	(66,713)
39	მოგების გადასახადი	0	0	0	0	0	0
40	**მოგება გადასახადის გადახდის შემდეგ**	**(759,455)**	**181,113**	**(578,342)**	**(88,988)**	**22,275**	**(66,713)**
41	გაუთვალისწინებელი შემოსავლები (ხარჯები)	0	0	0	0	0	0
42	**წმინდა მოგება**	**(759,455)**	181,113	**(578,342)**	**(88,988)**	22,275	**(66,713)**

ბალანსგარეშე ანგარიშების უწყისი

თარიღი: 30.06.2012

ცხრილი N3

ლარებით

		საანგარიშგებო პერიოდი			წინა წლის შესაბამისი პერიოდი		
N		ლარი	უც. ვალ.	სულ	ლარი	უც. ვალ.	სულ
1	**პირობითი ვალდებულებები**	**27,747,909**	**204,294,084**	**232,041,993**	**31,345,445**	**10,488,882**	**41,834,327**
1.1	აქცეპტები და იდფასამტრები			0	0	0	0
1.2	გაცემული გარანტიები	153,997	51,760	205,757	176,550	0	176,550
1.3	მიღებული გარანტიები	219,794		219,794	0	0	0
1.4	გირავნობის უზრუნველყოფის სახით გაცემული აქტივები	7,400,000		7,400,000	9,500,000	0	9,500,000
1.5	გირავნობის უზრუნველყოფის სახით მიღებული აქტივები	19,974,118	204,242,324	224,216,442	21,668,895	10,488,882	32,157,777
1.6	სხვა პირობითი ვალდებულებები			0	0	0	0
2	**ფორმალური ვალდებულებები**	**904,827**	**861,661**	**1,766,488**	**713,434**	**257,184**	**970,618**
2.1	აღებული ფინანსური ვალდებულებები	904,827	861,661	1,766,488	713,434	257,184	970,618
2.2	მესამე მხარის მიერ მიღებული ფინანსური ვალდებულებები			0	0	0	0
2.3	მისაღებად მოსალოდნელი ფასიანი ქაღალდები			0	0	0	0
2.4	გასაყიდად განკუთვნილი ფასიანი ქაღალდები			0	0	0	0
2.5	ნაღდ ვალუტასთან დაკავშირებული ოპერაციები			0	0	0	0
2.6	ფორვარდული საგალუტო ოპერაციები			0	0	0	0
2.7	დანარჩენი ვალდებულებები			0	0	0	0
3	**სხვა ვალდებულებები**	**153,997**	**51,760**	**205,757**	**176,550**	**0**	**176,550**
3.1	ტრასატის ვალდებულება ბანკის მიმართ			0	0	0	0
3.2	კლიენტის ვალდებულება	153,997	51,760	205,757	176,550	0	176,550
3.3	მესამე მხარის კლიენტის ვალდებულება ბანკის მიმართ			0	0	0	0
4	**ვალდებულებები ბანკში შესანახავად განთავსებულ ქონებაზე**	**0**	**0**	**0**	**0**	**0**	**0**
4.1	ძვირფასი ლითონები			0	0	0	0
4.2	ფასიანი ქაღალდები			0	0	0	0
4.3	სხვა ქონება			0	0	0	0
5	**საოპერაციო განაკვეთის კონტრაქტები**	**0**	**0**	**0**	**0**	**0**	**0**
5.1	საოპერაციო განაკვეთების სოპაების ძირითადი თანხა			0	0	0	0
5.2	ფინანსურ ინსტრუმენტებზე დადებული ფორვარდული კონტრაქტები			0	0	0	0
5.3	ფინანსურ ინსტრუმენტებზე დადებული ფიუჩერსული კონტრაქტები			0	0	0	0
5.4	ოფციონები			0	0	0	0
6	**კონტრაქტები საქონელზე და სააქციო კაპიტალის შესახებ**	**0**	**0**	**0**	**0**	**0**	**0**
6.1	სვოპების ძირითადი თანხა			0	0	0	0
6.2	ფორვარდული კონტრაქტები			0	0	0	0
6.3	ფიუჩერსული კონტრაქტები			0	0	0	0
6.4	ოფციონები			0	0	0	0
7	**გაუნაღდებელი დოკუმენტები**	**810,799**	**0**	**810,799**	**704,085**	**0**	**704,085**
7.1	ვადაში გაუნაღდებელი დოკუმენტები გადამხდელის მიზეზით	810,799		810,799	704,085	0	704,085
7.2	ვადაში გაუნაღდებელი დოკუმენტები ბანკის მიზეზით			0	0	0	0
7.3	გაუნაღდებელი საწესდებო ფონდი			0	0	0	0
8	**ზარალში ჩამოწერილი ვალები**	**1,859,303**	**104,033**	**1,963,336**	**1,847,966**	**0**	**1,847,966**
8.1	სესხებზე მიღებული პროცენტები 31.12.2000-ამდე			0	0	0	0
8.2	სესხებზე მოუღებელი პროცენტები 01.01.2001-დან	11,337	104,033	115,370	0	0	0
8.3	ზარალში ჩამოწერილი ვალები 31.12.2000-ამდე			0	0	0	0
8.4	ზარალში ჩამოწერილი ვალები 01.01.2001-დან			0	0	0	0
8.5	ზარალში ჩამოწერილი სხვა აქტივები	1,847,966		1,847,966	1,847,966	0	1,847,966
9	**სხვა ფასეულობა და დოკუმენტები**	**29,801**	**0**	**29,801**	**31,726**	**0**	**31,726**
9.1	გაურჩეველი ფულიანი ამანათები			0	0	0	0
9.2	მცირეფასიანი ინვენტარი	13,315		13,315	12,437	0	12,437
9.3	მკაცრი აღრიცხვის ბლანკები	16,486	0	16,486	19,289	0	19,289
9.4	სპეციალურარის ანაზღაურება			0	0	0	0
10	**სულ**	**31,506,636**	**205,311,538**	**236,818,174**	**34,819,206**	**10,746,066**	**45,565,272**

ბარსელონამ იასიკიავიჩუსი დაიბრუნა

ალექსანდრე ასათიანი

შარუნას იასიკიავიჩუსი "ბარსელონაში" დაბრუნდა

5 მარტს შარუნას იასიკიავიჩუსი 36 წლის გახდა. ლეგენდარული პერსონაჟის კარგი, დამსახურებული ასაკი. იასიკიავიჩუსი ევრობასკეტში მარადონაა. ბევრს მოგზაურობს, ბევრს იგებს, ბევრს წიკვინებს და, ძირითადად, იგებს. შარუნასმა ვერ ისწავლა გულშემატკივრებთან, ბოსებთან საუბარი და მაინც სერიოზულ კუშს უხდიან. ინტელექტუალმა პირველმა ნომერმა ეს ნამდვილად დაიმსახურა. ახალ სეზონში ბიჭი "ბარსელონაში" იქნება. წარსულში დაბრუნდება.

იასიკიავიჩუსი "ლიეტუვოს რიტასში" (1998/99) იწყებსკარიერას. მიდის სლოვენიაში, "ოლიმპიას" ბობ დილანი ხდება და კლუბის პრეზიდენტს საფერფლეს ესვრის. მოთამაშემ, განტვირთვისთვის, ხანდახან პრეზიდენტებს საფერფლე ან თეფში უნდა ესროლოს. მერე უკეთ ითამაშებს. შარუნასი სლოვენიაში პოპულარული და უფრო არაპოპულარული ტიპია.

2000/03 - წამოვიდა "ბარსელონა". ლიტველმა გუნდთან ერთად მოიგო ევროლიგა. ლიტველმა გუნდთან ერთად ყველაფერი მოიგო. ის "ბარსელონა" სხვა დონეზე იდგა. ძირითადად, ისვენებდა და ისე აგვარებდა პრობლემებს. იასიკიავიჩუსის ახლობლებმა ევროლიგასთან ერთად ლოკალური გარჩევებიც (ჩემპიონატი+თასი) მოიგეს. შარუნასი არის ესპანეთის სუპერფინალის MVP. შარუნასი არის ლიტვის საუკეთესო სპორტსმენი. შარუნასი ლიტვის ნაკრებთან ერთად იგებს ევროპის ჩემპიონატს. იმ ლიტვამ გადახსნა მთელი ევროპა და იასიკიავიჩუსმა მიიღო მედალი, რომელიც აკლდა არვიდას საბონისს, არტურას კარნიშოვასს, შარუნას მარჩიულიონისს. ამ სამმა ლიტველმა ლიტვასთან ერთად ჯეკპოტი ვერ მოხსნა და იასიკიავიჩუსმა პრობლემები მოაგვარა. ლიტვამ დაისვენა. ლიტვამ ჯგუფში გერმანიას, ისრაელს და ლატვიას აუწია ყური. შარასი ერთობოდა. ლიტვამ დაგლიჯა სერბეთი, საფრანგეთი და ბოლო ტესტში ესპანეთი 93:84 გააჩერა. შარუნასი ტურნირის სანტინო კორლეონე იყო. ქარიზმატული და არანორმალური.

"ბარსელონას" შემდეგ მოდის "მაკაბი" (2003/05). იქ ბიჭმა ფრედი კრიუგერის დანებით ასერა ყველა და "მაკაბიმ" ბევრი მოიგო. ორი (2004, 2005) ევროლიგა ბონუსია. იასიკიავიჩუსი ნიკოლა ვუიჩიჩთან და ენტონი პარკერთან ერთად ბევრს ასწრებს.2005-შილიტველი ევროლიგის MVP გახდა. ოთხთა ფინალი მოსკოვში იყო და "მაკაბიმ" ბოლო გასაუბრებაში ლუის სკოლას ტაუ 90:78 მიტყეპა. "მაკაბიდან" მისტერ ლიტვა ამერიკაში, ლარი ბერდის "ინდიანაში" მიდის. შარუნასმა "პეისერზთან" სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა და 12 მილიონიც წამოიღო. "ინდიანაში" ლიტველმა რეგულარულის 112 ტესტში 7.3 ქულა და 3.0 პასი აიღო. გენიოსის, კალათბურთის ოფიციალური კრიმინალის ნორმალური სტატისტიკა. იასიკიავიჩუსი გაცვალეს "გოლდენ სტეიტში". ოკლენდში ლიტველთან ერთად წავიდნენ სტივენ ჯექსონი, ალ ჰარინგტონი და ჯოშ პაუელი. "ინდიანაში" ჩადიან ტროი მერფი, იკე დიოგუ, მაიკ დანლივი ჯუნიორი და კიტ მაკლეოდი. 11.9 წუთში, 26 თამაშში იასიკიავიჩუსი 4.3 ქულას და 2.3 პასს ასწრებდა. "გოლდენ სტეიტმა" ბიჭის კონტრაქტი გამოისყიდა (2007, 20 სექტემბერი) და შარასი საბერძნეთში, მწვანე სამყაროში მიდის. ლიტველი "პანათინაიკოსმა" წაიყვანა.

საბერძნეთში შარუნასი პოპულარულია და პოპულარულ კალათბურთს თამაშობს. 25 სექტემბერს ლიტველი ოფიციალურად ხდება "პაოს" ტვინი და გუნდმა ლიტვური ინტელექტით მოგება დაიწყო. მწვანე მანქანამ აკრიფა. წავიდა დანარჩენი კიბორგების მტვრევის სერიები. ორწლიანი კონტრაქტით იასიკიავიჩუსმა 7 მილიონი ევრო მიიღო. ევროპაში სერიოზული თემაა. "პანათინაიკოსი" და შარუნასი იგებენ ევროლიგას (2009) და იასიკიავიჩუსი ხდება პირველი, ვისაც ტურნირი სამ სხვადასხვა გუნდთან ერთად აქვს მოგებული. ერთი სეზონი "ლიეტუვოს რიტასში" (2010/11), ცოტა დრო "ფენერბახჩეში" (2011) და კიდევ ერთი კონტრაქტი "პანათინაიკოსთან" (2001/12). ბოლო ევროლიგაზე "პაოს" ცსკამ გადაუჯოკრა. იმ სეზონში "პანათინაიკოსი" ცოტა დაღლილი იყო და დაიღალა იასიკიავიჩუსიც. ლიტველმა ევროლიგაზე, ლიმიტირებულ დროში (15.2 წუთი) მაინც აკრიფა 7.2 ქულა, 2.5 პასი და 1.3 მოხსნა. ბიჭმა სეზონი უკონფლიქტოდ დახურა და დაისვენა. მერე დაურეკეს და აგენტმა "ბარსელონასთან" კონტრაქტი გაუშანსა. იასიკივიჩუსი დაბრუნდა.

შარუნას იასიკიავიჩუსი 36 წლის გახდა. ლეგენდარული პერსონაჟის კარგი, დამსახურებული, ჭაღარა ასაკი. იასიკიავიჩუსი ევრობასკეტში თითქმის დიეგო მარადონაა. ბევრს მოგზაურობს, ბევრს იგებს, ბევრს წიკვინებს და, ძირითადად, იგებს. შარუნასმა ვერ ისწავლა გულშემატკივრებთან, კლუბების ბოსებთან საუბარი და მაინც სერიოზულ კუშს უხდიან. დღესაც სერიოზულ კუშს აძლევენ. ინტელექტუალმა პირველმა ნომერმა ეს დაიმსახურა. ახალ სეზონში "ბარსელონაში" იქნება. ლიტველმა ადრე გუნდთან ერთად მოიგო ევროლიგა. ლიტველმა გუნდთან ერთად ყველაფერი მოიგო. ის "ბარსელონა" სხვა დონეზე იდგა. ძირითადად, ისვენებდა და ისე აგვარებდა პრობლემებს. "ბარსელონამ" წარსულიდან მომავალი და პერსპექტივა დაიბრუნა. იასიკიავიჩუსი და ხუან კარლოს ნავარო ერთად უკვე თემაა. "ბარსელონა" მალე დაიწყებს. და ძალიან ძნელი გასაჩერებელი იქნება.

ლეიკერსის მესიჯი დელონტე უესტს

დელონტე უესტი

ალექსანდრე ასათიანი

"ლეიკერსმა" დუაიტების და გრანტების თემა ჯერ დახურა. სხვა პრობლემებიც მოსაგვარებელია და კლუბი ერთ კარგ ახალგაზრდაზე გავიდა. "ლეიკერსმა" დელონტე უესტი შეუკვეთა. ნორმალური ვარიანტია. უესტმა კალათბურთის თამაში და ძმაკაცების დედებთან მეგობრობა იცის. ახალი კონტრაქტისთვის დასაფასებელი თვისებებია. კალიფორნიაში უესტს ორ სეზონზე 13 მილიონ დოლარზე დაელაპარაკებიან. ნორმალური პირობებია. უესტისთვის ნორმალური.

დელონტე კომბინირებული პატარაა. დგება პირველ ნომერზე და საქმეს აკეთებს. ადის მსროლელად და საქმეს მაინც აკეთებს. დგება პირველზე, შუთერობს და პრობლემებს ამ სიტუაციაშიც აგვარებს. «ლეიკერსში" ეს დაინახეს და კობი ბრაიანტმა თქვა, წამოიყვანეთო. დონმა დანარჩენ ბოსებს მოლაპარაკების დაწყების ნებართვა მისცა.

28 წლის უესტი შარშან "დალასში" იყო. "მავერიქსთან" ერთად რეგულარულის 44 თამაშში 9.6 ქულა, 3.2 პასი და 2.3 მოხსნა დაირტყა. დირკ ნოვიცკის შემდეგ გუნდის ყველაზე სტაბილური მოთამაშე იყო. "დალასმა" ვერ გაქაჩა და ფრენჩაიზის მფლობელმა, მისტერ მარკ კიუბანმა ძველი ბიჭებიდან ნოვიცკი და კიდევ ერთი-ორი დაიტოვა. დანარჩენები გაუშვეს. დანარჩენებში დელონტე უესტიც იყო. ჯეისონ კიდთან ერთად კლუბმა უესტიც გაუშვა. კიუბანმა უესტის დატოვება მოინდომა და მერე მაინც დაეზარა რეპერთან მოლაპარაკების დაწყება. უესტი მაგრად რეპავს. "დალასში" უფრო ქანთრის უსმენენ. "დალასი" შეიცვლება.

უესტი ადრე "ბოსტონში", "სიეტლში", ლებრონთან, "კლივლენდში" და ისევ "ბოსტონში" ცელქობდა. მერე წამოვიდა "დალასის" ვარიანტი. უესტი ნორმალური მოთამაშეა. კარიერით (რეგულარულის 432 ტესტში, 27.2 წუთში) საშუალოდ 9.7 ქულას, 3.6 პასს, 2.9 მოხსნას და 1.1 ჩაჭრას აგროვებს. დელონტე უნივერსალია. უყვარს ლებრონის დედა და ჯეიმსი უესტს კვირაში ერთხელ მამიკოს ეძახის. საინტერესო ოჯახია. უესტიც საინტერესოა. და "ლეიკერსზე" ჭორაობს.

დელონტე უესტი: "კონტრაქტი ჯერ არ გამიფორმებია. "ლეიკერსი" ლეგენდარული გუნდია. ვიყავი "ბოსტონში" და კიდევ ერთ დიდ გუნდში თამაშის შანსი მაქვს. ერთხანს "დალასში" დარჩენაზე ვიფიქრე, მაგრამ კლუბს სხვა ინტერესები აქვს და, ალბათ, იქ არ უნდა დავრჩენილიყავი. "დალასმა" ბევრი მომცა. მარკ კიუბანმა ბევრი მომცა. ვიცი, რომ "დალასი" კარგ კალათბურთს ითამაშებს. დელონტე უესტის გარეშეც. თუ "ლეიკერსთან" მეგობრობა არ გამოვა, სხვა ვარიანტზე ვიფიქრებთ. თავს მშვენივრად ვგრძნობ. კალათბურთის თამაში მომენატრა."

Ice Cube და დუაიტ ჰოვარდი

აის ქიუბი

ალექსანდრე ასათიანი

"ლეიკერსის" სამზარეულოში კიდევ ერთი სერიოზული ტიპი შევიდა. რეპერი ორი პიტბულით და "ლეიკერსის" შარფით. კალიფორნიაში აის ქიუბი კარგი ბიჭია. აის ქიუბი ყველგან კარგი ბიჭია. ძველი რეპერი, ძველი კრიმინალი, ძველი განგსტერი, ძველი ბიჭი - აის ქიუბმა ბევრი რაღაც მოასწრო და მისტერ AngryMachine "ლეიკერსის" გულშემატკივარია. ჯეკ ნიკოლსონთან, სტივენ სპილბერგთან, პამელა ანდერსონთან, ადამ სენდლერთან, დასტინ ჰოფმანთან, ბორატთან, ბორატის ასისტენტთან ერთად. აის ქიუბი ლოს ანჯელესში ახალი მუსიკალური პროექტის პრეზენტაციაზე მივიდა. ბევრზე იჭორავა, ბევრზე ჭორაობა დაეზარა და რამდენიმე წუთი "ლეიკერსს" დაუთმო. მისტერ ქიუბს გუნდში დუაიტ ჰოვარდის გადაყვანა არ უნდა. რაღაც თვალსაზრისით, ბუთხუზა რეპერი მართალია.

IceCube: "ლეიკერსს" ჰყავს ენდრიუ ბაინუმი და არ მესმის, რატომ უნდა გავუშვათ გუნდიდან მოთამაშე, რომელიც უკეთესი, უფრო სრულყოფილი, გუნდისთვის საჭირო გახდა. ჰოვარდი სერიოზული ტიპია, მაგრამ "ლეიკერსზე" მეტად უყვარს დოლარები. დოლარები მეც მიყვარს, ყველას გვიყვარს, მაგრამ ღირსება, ამ გუნდის დიდი ისტორია უფრო მეტია, ვიდრე მრავალწლიანი კონტრაქტი. ენდრიუმ მოუმატა და შარშან ჰოვარდზე ცუდი არ იყო. ენდრიუ ჩვენი კაცია, ელ-ეიში თავს კომფორტულად გრძნობს. დავიტოვოთ ბაინუმი და ამ შემადგენლობით კიდევ ერთხელ ვიქნებით ჩემპიონობის ფავორიტები. თან, კობი გვყავს."

ჰოვარდის ამბები არ მთავრდება. თქვა: ჯერ "ლეიკერსში" ვარ და კონტრაქტი გაამზადეთო. მერე ფულზე წუწუნი დაიწყო - მგზავრობის ხარჯი უნდა ამინაზღაუროთ, თორემ დამატება მიწევსო. "ორლანდოში" დარჩენით ჰოვარდი ერთ სეზონს დაკარგავს. შარშან, რეგულარულის დროს, დუაიტი ორჯერ დაელაპარაკა "შეჯიქის" ბოსებს ტრანსფერზე და თემა არ დაიხურა. "ლეიკერსი" ჰოვარდში ამ გენერაციის უილტ ჩემბერლენს, ჯორჯ მაიქენს, შაკს ხედავს. ფრენჩაიზი დუაიტს მომხიბლავ კონტრაქტს სთავაზობს. ის კი ჯერ ფიქრობს, უკეთეს ვარიანტს ეძებს. უკეთესი ვარიანტი კალათბურთის თამაში და ერთ სეზონში 27 მილიონი დოლარის აღებაა. ჰოვარდმა ვერ გაიგო, სად და რამდენი წლით უნდა წავიდეს. ან დარჩეს. ან კალათბურთი ითამაშოს. და IceCube უფრო ბაინუმთან ძმაკაცობს, ვიფრე დუაიტთან. კობი ბრაიანტის, ბაინუმის და პო გასოლის ბენდს კიდევ ერთი ლამაზი, მოქნილი პროგრამის დაკვრა შეუძლია. აის ქიუბთან ერთად. ბრუტალური მიქსტი. რეალურად ბრუტალური. აის ქიუბმა "ლეიკერსის" ახალი ამუნიცია შეუკვეთა. ზურგზე ანერია Bynum. აისი მაგარი ტიპია. სთრითბოლსაც მაგრად თამაშობს. ანაკონდებსაც მაგრად იჭერს. KeepTheirHeadRingin'.

„დილას“ ევროპული გზა გრძელდება

სოსო კოტორეიშვილი

გორელთაგან ერთ-ერთი გამორჩეული გოგიტა გოგუა იყო

ჩაგდებული პირველი ტაიმის შემდეგ გორის “დილამ” მაინც მოახერხა საკუთარი თამაშის მეტოქისთვის თავზე მოხვევა, მეორე ნახევარში სამი გოლი გაიტანა დანიური “ორჰუსის” კარში და შემდეგ ეტაპზე თამაშის უფლება მოიპოვა.

პირველი ორმოცდახუთი წუთი კი მართლაც უსიამოვნო სანახავი გამოდგა “დილას” გულშემატკივართათვის - შვეიცარიელი არბიტრის სასტარტო სასტვენისთანავე მოედნის ცენტრს და ბურთს დანიელები აკონტროლებდნენ. სტუმართაგან ვეტერანი მარტინ იორგენსენი და ჩვენებური დავით დევდარიანი გამოირჩეოდნენ - “ორჰუსის” ტექნიკური ქართველი ლეგიონერი გამჭოლი პასებით ცდილობდა “დილას” კართან სახიფათო მომენტების შექმნას.

34-ე წუთზე სწორედ მის დარტყმულს მოჰყვა კუთხური, სტანდარტიდან ჩაწოდებული ბურთი მცველებმა კი მოიგერიეს, მაგრამ მეტოქეს ჩააბარეს და ნერეგაარდის ძლიერი დარტმული ბურთი “დილას” მეკარე სკენდერმა ვერ მოიხელთა და კარში შეგორდა.

მიუხედავად სტუმართა სათამაშო უპირატესობისა, გორელებსაც ჰქონდათ მომენტები, ორჯერვე რასმუსენის კარს სანდრო გურული დაემუქრა შორიდან, თუმც უშედეგოდ. მეორე ტაიმში სულ სხვა “დილა” ვიხილეთ - პირველი, რაც გორელებმა მოახერხეს, მოედნის ცენტრში უპირატესობას დაეფულნენ, ფლანგებზეც სივრცეები შეუზღუდეს მეტოქეს და განაპირა მცველებიც შეტევებშიც აქტიურად ჩაერთვნენ, ქართლელთა ასეთ მონდომებას და გააზრებულ თამაშს მალე გოლიც მოჰყვა - საჯარიმოში შეჭრილმა გოგიტა გოგუამ თავისთან “ორჰუსის” რამდენიმე ფეხბურთელი მიიტყუა, მერე ბურთი უკან დავით კვირკველიას დაუგორა, ამ უკანასკნელმა საჯარიმოს ცენტრში ჩააწოდა, სადაც ყველას მათე ვაწაძემ დაასწრო, ბურთს თავი წაჰკრა და რასმუსენის კარის ბადეში მიუჩინა ადგილი. სტუმრებს დასაკარგი აღარაფერი ჰქონდათ - მატჩის დამატებით დროში გადასაყვანად ერთი ბურთი უნდა გაეტანათ და ამის კარგი შანსი დევდარიანს მიეცა, მაგრამ გორელთა საბედნიეროდ, მისი დარტყმა არაზუსტი იყო.

შეხვედრის ბოლო ოც წუთში კი “დილა” სრულ უპირატესობას ფლობდა და “მიხეილ მესხზე” შეკრებილმა გულშემატკივარმა კიდევ ორი გოლი იხილა, მეორე გოლი გორელმა მცველმა შექმნეს - მარჯვენა ფლანგიდან კვირკველიას ჩაწოდებულ ბურთს საპირისპირო ფლანგზე ონიანმა თავით უცვალა მიმართულება, სალუქვაძემ ფეხით შაშიაშვილსკენ “გაამგზავრა” და “დილას” გამოცდილ მცველს ახლო მანძილიდან კარში ზუსტად დარტყმა აღარ გასჭირვებია.

მესამე გოლიც ლამაზი გამოვიდა - შეცვლაზე შესულმა ირაკლი მოდებაძემ ჭკვიანური პასით მათე ვაწაძე სტუმართა მეკარესთან პირისპირ დატოვა, ამჯერად მათემ ბურთს ფეხი წაჰკრა და კარში შეაგორა.

“დილას” ევროდებიუტი მართლაც შთამბეჭდავი გამოუვიდა - ორივე შეხვედრაში დაამარცხა მეტოქე, თან თავიდან აგებდა და შეძლო, როგორც იტყვიან, თამაშის მოტრიალება. თემურ შალამბერიძის გუნდი ევროპის ლიგის შემდეგ ეტაპზეა და მისი მომავალი მეტოქე დიდწილად კვიპროსული “ანორთოსისი” იქნება.

ევროპის ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპი. საპასუხო მატჩი

დილა-ორჰუსი 3:1 (0:1)

დილა: სკენდერი, სალუქვაძე, ონიანი, შაშიაშვილი, კვირკველია, კაშია (ბეჭვაია 27), ალადაშვილი (ახალკაცი 57), გოგუა (მოდებაძე 77), გრიგალაშვილი, ვაწაძე, გურული

მწვრთნელი: თეიმურაზ შალამბერიძე.

ორჰუსი: რასმუსენი, ჰალანდი, ეკერსლი, აკარაზი (პეტერსენი 64), სორინი, კირკესკოვი, ნორეგაარდი, იორგენსენი, დევდარიანი (ლარსენი 71), სლოთი, იოჰანსონი (გრაულუნდი 43).

გოლები: 0:1 სკენდერი (34, ს.კ.), 1:1 ვაწაძე (62), 2:1 შაშიაშვილი (74), 3:1 ვაწაძე (83).